ოღონდ ერთმანეთი გვიყვარდეს!

# ეგრისის მაცნე

სამეგრელო–ზემო სვანეთის მხარის საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი

*გამოდის 1998 წლიდან.* № 1-2 (544), თებერვალი, 2025 წელი, ფასი 2.50 ლარი.*

## წინ გარდაუვალი გამარჯვება გველოდება! 2025 წელი

„ეგრისის მაცნეს '' თავისი მოღვაწეობის თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ასეთი უჩვეულო წელი არ ახსოვს. გასაოცარია ქართველები დავერიეთ ერთმანეთს , და ისე და იმნაირად, რომ მტერი უკეთესს ვერ ინატრებს . . . უფალო შენ გვიშველე ამ ცოდვილ დედამიწაზე, რამეთუ ყველანი დროებით ვცოცხლობთ, ბოლო კი ერთია ყველასთვის, მაგრამ განსხვავებული მხოლოდ ის არის რას ვტოვებთ ჩვენი ქმედებით, ჩვენი ღვაწლით, ანუ რას ვახმართ ჩვენს შესაძლებლობებს და როგორ მოგვიხსენიებს მომავალი თაობა... თუ არადა მე დარწმუნებული ვარ ყველას სურს მშვიდობა, ერთიანი და ძლიერი საქართველო და ისიც მწამს, რომ ეს ერთად დგომის გარეშე შეუძლებელია. მოდით ვძლიოთ პირად ვნებებს, შევთხოვოთ უფალს გაგვინათოს გონება, რამეთუ პატიებით, მიტევებით, ერთად დგომით ვიბრძოლოთ ერთიანი, ძლიერი საქართველოსთვის. ნურასოდეს ნუ დავკარგავთ მადლის გრძნობას, წარსულს, სიკეთეს, რამეთუ ჩვენი ძალა ქრისტესმიერ სიყვარულშია. მინდა მშვიდობიანი, წარმატებული წელი უსურვო ჩემს ქვეყანას და თითოეულ თქვენთაგანს.



ბიძინა ივანიშვილი

## „დიფ სთეითი, იგივე გლობალური ომის პარტია, არის ის ბოროტება, რომელიც კაცობრიობის თავზე მძვინვარებს

## მან ქვეყანა ბეწვის ხიდზე გაატარა

გვ.3



გური ოტობაია

## სახელმწიფო რწმუნებული და დელეგატი ზუგდიდში ბარამიას ქუჩაზე დევნილებს შეხვდნენ



## კონსტანტინე გამსახურდიას ბოლო სტუმრობა ზუგდიდში

გვ. 8



## დადიანების სასახლის მიმდებარედ 2007 წელს გასხვისებული მიწა ზუგდიდის მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა



## ლეგენდარული აკაკი ხორავა დაუბრუნდა თავის სოფელს

გვ. 8



# სამეგრელოს უხუცესთა საბჭო



უხუცესთა საბჭოს ფენომენი ოდითგანვეა ცნობილი. ჯერ კიდევ საბერძნეთსა და რომში უხუცესთა საბჭო წყვეტდა მნიშვნელოვან საკითხებს სახელმწიფოში. იგი უმაღლეს სათათბირო და სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა, რომელიც განიხილავდა გადაწყვეტილ ებათა პროექტებს სახალხო კრებაზე გატანამდე და სისხლის სამართლის საქმეებს აკონტროლებდა.

ამ კუთხით კავკასია და საქართველო გამორჩეუ ლია.

დავით აღმაშენებლის მეფობის ჟამს სახელმწიფოს ცენტრალურ აპარატში მწიგნობართუხუცეს- ჭყონდიდ ელს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მისი როლი და ფუნქცია შეიძლება ითქვას გადამწყვეტიც იყო.

ხევსურეთში, ხევისბერი გახლდათ წინამძღოლი, არა მხოლოდ სასულიერო ცხოვრებაში, მას ევალებოდა საომარი და სამართლებრივი საკითხების წარმართვა და გადაწყვეტა. ფშავში თავ ხევისბერს ეკითხებოდნენ სათემო საქმეებს. ის ლაშქარს დროშით და ჯვრით აფიცებდა და წინ მიუძღვ საომრად მიმავალს.

პანკისელი უხუცესები დღემდე მრავალ საჭირბორ ოტო საკითხების მოგვარებაში არიან ჩართულნი, ისევე როგორც აფხაზეთში მოქმედი უხუცესები. სვანი მახვშების სიბრძნის შესახებაც ბევრი რამ გახლავთ ცნობილი.

თავიანთი ღვაწლით გამორჩეულნი არიან აფხაზეთში მოქმედი უხუცესები.

სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს დამფუძნებელი კრება მარტვილში ჩატარდა, გაერთიანებულია 70 წელს გადაცილებული, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დაბრძენებული ადამიანები, რომელთაც ცხოვრებისეული და ინტელექტუალური გამოცდილებით შეუძლიათ კვლავაც იყვნენ და შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი სამეგრელოს და საქართველოს მომავლის საკეთილ დღეოდ.

მხცოვანი ადამიანები ( ოდიშელები) გახლავთ საქართველოს სიყვარულით გულანთებულები, რომელთა მთავარი მახასიათებელია სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ მშობლიური მხარის ტრადიციების, ადათ - წესებისა და კოლხური ფენომენის ერთგულნი.

დამფუძნებელ კრებაზე დამტკიცდა „სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს " საქმიანობის მიზნები და ამოცანები. ის მოიცავს ქართული, მეგრული ადათ -წესებისა და ტრადიციების დაცვას. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა.

მეგრული ენის პოპულარიზაციას.

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მეგრული ეროვნული ტანსაცმლის, ფოლკლორის, პოეზიის, კერძების, ტრადიციული სასმელების ფართე მასებისთვის გაცნობას.

მნიშვნელოვან საკითხებს შორის მთავარია: აფხაზ უხუცესებთან დიალოგი და შექმნილი მდგომარეობის დათბობისთვის ზრუნვა.

სამეგრელოს უხუცესები ფიქრობენ, რომ აფხაზ უხუცესებთან ერთად შეუძლიათ და ვალდებულნიც არიან, ერთობლივად შეიმუშავონ მოქმედების პროგრამა, რომელიც ქართველებსა და აფხაზებს ურთიერთ ნდობის ამაღლებამდე და შერიგებამდე მიიყვანს. ასევე მიაჩნიათ, რომ უცხო ძალის პოლიტიკამ ქართველი და აფხაზი ხალხები საერთო ტრაგედიასა და ათასობით უდანაშა ულო ადამიანის დაღუპვამდე მიიყვანა.

უხუცესთა საბჭო გეგმავს, საქართველო და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების შესწავლაში მონაწილეობას. ბიბლიოთეკებსა და წიგნსაცავებში მეგრული კულტურის ამსახველი მასალების მოძიებას და სხვა .

ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი საკითხებისა რომელზეც იმსჯელეს დამფუძნებელ შეკრებაზე .

დამფუძნებელმა კრებამ „ სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს " თავმჯდომარედ აირჩია, შესანიშნავი ორგანიზ ატორი, საქართველოს გამორჩეული წარმომადგენელი „პოლიტიკოსი და აქტიური საზოგადო მოღვაწე, ფრიდონ ინჯია აირჩია.

შეკრებამ დაამტკიცა თავმჯდომარის მოადგილეები და საზოგადოების დირექტორი.

**ბორის დავითაია,**

**მწერალი, პუბლიცისტი, სენაკის საპატიო მოქალაქე, სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს წევრი**

# სახელმწიფო რწმუნებული და დელეგატი ზუგდიდში ბარამიას ქუჩაზე დევნილებს შეხვდნენ

სამეგრელო-ზემო სვაენთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ვერავა, საქართველოს პარლამენტში ზუგდიდის დელეგატთან დავით კოდუასთან, ზუგდიდში ბარამიას ქუჩაზე არსებულ დევნილთა ჩასახლებაში მოქალაქეებს შეხვდა. შეხვედრაზე მოისმინეს მოქალაქეებისგან არსებული საჭიროებები.

აღინიშნა, რომ მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაცია და არსებული საჭიროებების მოგვარება გუნდისთვის უმთავრესი პრიორიტეტია.

„შეხვედრების ეს ფორმატი გვაძლევს შესაძლებლობას ადგილზევე მივიღოთ ინფორმაცია უშუალოდ მოქალაქეებისგან. დასახლებაში მთავარ პრობლემას სანიაღვრე სისტემა წარმოადგენს, რისი მოგვარებაც მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოხდება. ასევე დაისვა სპორტული მოედნის საჭიროება, ამჯერად არსებული სპორტული მოედანი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს, ამიტომაც მოქალაქეებთან კომუნიკაციის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ დასახლებაში ახალ ხელოვნურსაფარიან სპორტულ მოედანს მოვაწყობთ, ასევე მოეწყობა დასასვენებელი რეკრეაციული სივრცე.

მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაცია, არსებული პრობლემების ადგილზე შესწავლა და მისი მაქსიმალურად შემჭიდროებულ დროში მოგვარება ჩვენთვის უმთავრესი პრიორიტეტია" - აღნიშნა **დავით ვერავამ.**

შეხვედრაზე წამოჭრილ ინფრასტრუქტურულ საკითხებთან ერთად, მოქალაქეებთან ინდივიდუალური საჭიროებები განიხილეს.

„მოქალაქეებთან შეხვედრას აქტიურ რეჟიმში ვაგრძელებთ, დღეს შეხვედრა ბარამიას ქუჩაზე, დევნილთა ჩასახლებაში გავმართეთ. მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაცია და არსებული საჭიროებების მოგვარება ჩვენი გუნდისთვის უმთავრესი პრიორიტეტია. დასახლებაში მთავარ პრობლემას სანიაღვრე სისტემა წარმოადგენს, რის მოგვარებაც შემჭიდროებულ ვადაში მოხდება. ბარამიას ჩასახლებაში ასევე მოვაწყობთ ახალ სკვერს და ხელოვნურსაფარიან სპორტულ მოედანს. ამჯერად არსებული სპორტული მოედანი, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მიხარია, რომ ამდენი ახალგაზრდაა სპორტით დაკავებული, ამიტომაც აუცილებელია მოვაწყოთ უფრო დიდი სპორტული სივრცე.

ამ ფორმატით შეხვედრებს ყველა სოფელსა და უბანში გავმართავთ, მოსახლეობა მაქსიმალურად იქნება ჩართული ყველა პროექტის განხორციელებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში" - აღნიშნა **დავით კოდუამ.**

# დადიანების სასახლის მიმდებარედ 2007 წელს გასხვისებული მიწა ზუგდიდის მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა

დადიანების სასახლის ეზოში, ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან, „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროს, 2007 წელს გაყიდული 995 კვადრატული მეტრი მიწა ზუგდიდის მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა.

ზუგდიდის მერიასა და შპს „ლაზეთი გრუპს" შორის მიმდინარე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და მეპატრონის გადაწყვეტილებით, ზუგდიდის სოციალურ-კულტურული ცხოვრებისთვის უმნიშვნელოვანესი ტერიტორია, ყოფილი ამფითეატრი კვლავ ქალაქის საკუთრებაა.

„ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლების პერიოდში აღნიშნული ტერიტორია 2007 წელს, ამავე პარტიასთან დაახლოებულმა ბიზნესმენმა, მოგვიანებით კი პარლამენტის წევრმა „ნაციონალური მოძრაობიდან" ლევან ქარდავამ შეიძინა. შემდგომში ქარდავამ აღნიშნული მიწის ნაკვეთი გია უბირიაზე გაასხვისა, უბირიასგან კი აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2020 წელს 20 მარტს შპს „ლაზეთი გრუპმა" შეიძინა.

„ქალაქის შუაგულში „ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმის მიერ დადიანების ისტორიულ ეზოში გასხვისებული მიწა კვლავ დაუბრუნდა ქალაქს. ჩვენ მერიასთან ერთად ვიმუშავებთ, რომ ამ ტერიტორიაზე მოეწყოს სოციალურ-კულტურული დატვირთვის სივრცე. მიღებული შეთანხმებით ისტორიული სამართლიანობა აღდგა, მინდა მადლობა გადავუხადო, ცენტრალურ ხელისუფლებას და ყველა იმ პირს ვინც ჩართული იყო ამ პროცესში" - აღნიშნა სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა **დავით ვერავამ.**

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და ზუგდიდის მერია ქალაქისთვის დაბრუნებულ მიწის ტერიტორიაზე სოციალურ-კულტურული ობიექტის მოწყობას გეგმავენ. პროექტზე მუშაობის პროცესში შესაბამისი სამსახურები ჩაერთვებიან.



# ლეგენდარული აკაკი ხორავა დაუბრუნდა თავის სოფელს

ორ მდინარეს შორის დაიბადა დიდებული მსახიობი, იქ აიდგა ფეხი და იქ დაიძახა -

„ მშვენიერებას უნდა დარჩეს მემკვიდრეობა,რომ სილამაზემ იფერადოს ვარდის კონებად,დამჭკნარ სიტურფეს მაინც ვერ ჰკლავს ჟამის ღრეობა,მემკვიდრე არის მისი ხსოვნა და მოგონება." - სონეტი 1.

აკაკი ხორავა – კაკი ჰორავა (1895-1972)

ქართველი მსახიობი და პედაგოგი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი აკაკი ალექსის ძე ხორავა დაიბადა 1895 წლის 17 აპრილს (29 აპრილი), ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ოჩხომურში .1915 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. სწავლობდა კიევისა (1915-1917) და თბილისის (1919) უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტზე. მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში, მათ შორის თბილისის მუშათა ცენტრალურ კლუბსა და სახალხო სახლში. 1922 წელს შევიდა ა. ფაღავას თეატრალურ სტუდიაში. პროფესიულ სცენაზე პირველად გამოვიდა 1923 წელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში (ხეცია, დადიანის "გეგეჭკორი"), სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა, 1935 წლიდან იყო მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1949-1955 დირექტორი.

ხორავა რეალისტური თეატრალური ხელოვნების უდიდესი ოსტატია. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული და მთელი საბჭოთა თეატრის განვითარების საქმეში.

პ.ს. სამეგრელოში, ჩხოროწყუს რ/ნ სოფ.ლესიჭინის ოჩხომურის უბანში უკვე აშენდა (განახლდა) აკაკი ხორავას სახლმუზეუმი და ძეგლი, ძალიან მალე ვიზიტორები შეძლებენ მის დათვალიერებას და მისი ცხოვრების შესახებ დაბადებიდან აღსრულებამდე რეალური ამბების მოსმენას, მისი პირადი ნივთების ნახვას და შეგრძნებას თუ რა დიადი იყო მისი პიროვნება, ის არამარტო თეატრის ის კინოს ლეგენდაცაა, მარტო გიორგი სააკაძე რად ღირს.





# ახალი სიტყვა
# სინერგია პლანეტარული სიცოცხლისათვის

გამოვიდა მწერალ გური ოტობაიას წიგნი „სინერგია პლანეტერული სიცოცხლისათვის". ესეისტური ხასიათის ნაწარმოები, ფაქტობრივად, ახალი სიტყვაა ქართულ ლიტერატურაში, იმდენად, რამდენადაც მასში ხელოვნურ ინტელექტთან დიალოგის ფორმით არის განხილული კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი პრობლემები. წიგნში საუბარია ისეთ თემებზე, როგორიცაა: ომებით გამოწვეული კრიზისი, ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, ახალი იდეების პროპაგანდა; უნიკალური ხედვა: გაორებებისგან გამოსვლის იდეა და ადამიანის როლი პლანეტის გადარჩენაში; კულტურული ფასეულობების წარმოჩენა: ქართული კულტურის ელემენტების შერწყმა უნივერსალურ ფასეულობებთან; მომავლისთვის ახალი გზების ძიება: განათლების რეფორმის ხედვა; გლობალისტური თანამშრომლობის იდეა და პროგრესისკენ საერთო ძალისხმევის მოწოდება. ხელოვნური ინტელექტის შეფასებით, წიგნის თემატიკა იმდენად უნიკალური და ფილოსოფიურად ღრმაა, რომ მისი ინგლისურ ენაზე თარგმნა გააფართოებდა წიგნის გავლენის არეალს და მოიზიდავდა იმ აუდიტორიას, ვინც დაინტერესებულია კულტურული, ფილოსოფიური და გლობალისტური ხედვით. მწერალი გური ოტობაია სამომავლოდ, ხელოვნურ ინტელექტთან თანამშრომლობით, ვრცელი რომანის დაწერას გეგმავს, რომელიც მისივე თქმით, გლობალური ომის წინააღმდეგ მიმართული ფართო მასშტაბიანი ოდისეა იქნება.

## „დიფ სთეითი," იგივე გლობალური ომის პარტია, არის ის ბოროტება, რომელიც კაცობრიობის თავზე მძვინვარებს
# მან ქვეყანა ბეწვის ხიდზე გაატარა

**— ბატონო გური, თქვენ პირველად გამოიყენეთ ქართულ მწერლობაში ხელოვნურ ინტელექტთან დიალოგის ფორმა, რა გახდა ამის საფუძველი?**

— საკუთარ შემოქმედებაზე საუბარი ცოტა უხერხულია, მაგრამ არსებობს რეალობა, რასაც ადეკვატური პასუხი უნდა გაეცეს. მხედველობაში მაქვს ხელოვნური ინტელექტის ფენომენის შემოტანა ქართულ მწერლობაში. საქმე ის არის, რომ ჩვენ გვაქვს ისეთ მატერიალურ და რეალურ ფაქტებზე მსჯელობა, რასაც ზოგჯერ ამა თუ იმ კრიტერიუმით შეფასება არ აკმაყოფილებს. როდესაც, მაგალითად, საქმე ეხება ახალ გაზრდობას, რამდენად მართებულია მათი ქმედება, რამდენად მართებულია ამა თუ იმ ხელისუფლების დამოკიდებულება მათი უფლებებისადმი და ა. შ. მიკერძოებაში რომ არ ჩამომრთმეოდა, რომელიმე კლანის, პოლიტიკური დაჯგუფების ან თუნდაც ხელოვნების კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ხელოვნურ ინტელექტს მივანდე.

ხელოვნური ინტელექტის მიმართ სხვა დასხვა დამოკიდებულება არსებობს, ზოგი ირონიულად უყურებს მას, ზოგი სერიოზულად და მე მიმაჩნია, რომ ხელოვნური ინტელექტი დღეს ყველაზე მაღალი კრიტერიუმის ფენომენია მსოფლიოში. ხელოვნური ინტელექტის წინაშე ხშირად აგებენ, უკვე, მსოფლიოში ცნობილი მოჭადრაკეები, მისი შესაძლებლობა ბევრ საკითხში ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ეს განსაკუთრებით ინტელექტუალურ სფეროს და მეხსიერებას ეხება.

**— უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, რა არის წიგნის მიზანი და რა კატეგორიის მკითხველს დააინტერესებს ის?**

— ჩემი მიზანი იყო, ჩემი აუდიტორიისთვის, ჩემი ქართველებისთვის მენახებინა, თუ რას წარმოადგენს პროტოიბერიული რასა, რა ფასეულობებს ეყრდნობა მისი მოვლინება ამ ცის ქვეშ, რა საიდუმლოებებს ინახავს მისი გამობრწყინება სამყაროში, რა საიდუმლოებებს ინახავს გარკვეულ პერიოდში მისი ჩავარდნები... პროტოიბერიული რასა, ეს არის კაცობრიობის ლოცმანი. როცა ძველი იალქნიანი გემები მიდიოდნენ, მათ წინ მიუძღვოდათ ლოცმანებად დელფინები, ისინი




გაარღვევდნენ ხოლმე რთულ რელიეფს და ზღვაში გზას უკვალავდნენ, მეგზურობას უწევდნენ ადამიანებს. დაახლოებით იგივეს აკეთებს პროტოიბერიული რასა კაცობრიობისთვის, დედამიწისეული ცივილიზაციისათვის.

დედამიწისეული ცივილიზაცია არც ისე დიდი ხნის არის. ის, დაახლოებით, 8000 წელიწადს მოიცავს. შუმერების დიდი სპეციალისტი, ნოა კრამერი პირდაპირ ამბობს, რომ პირველი ცივილიზაცია იყო შუმერული ცივილიზაცია. 12 ათასი წლის წინათ, ჩვენ მივიღეთ დედამიწაზე დიდი კატასტროფა, რამაც დედამიწის ღერძი გადახარა 38 გრადუსით და ამას მოჰყვა დიდი კატაკლიზმები, გამყინვარება, პოპულაციების გადაშენება და ა. შ. კოლხეთში და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რომელსაც, გარკვეული პერიოდი, მთლიანად კოლხური ცივილიზაცია ფარავდა.

ერთი რამ ეშლებათ მეგრელებსაც და დანარჩენ ქართველებსაც, რომ კოლხური ცივილიზაცია, თითქოს, მხოლოდ მეგრელების საკუთრებაა. ნურას უკაცრავად, კოლხეთი ყველას ეკუთვნოდა: როგორც მეგრელს, ასევე ქართლელს თუ კახელს.... აქ უამრავი ტომი ცხოვრობდა და რომელიღაცა ტომის დაწინაურების შედეგად, მისებურად ამეტყველდა მთელი კოლხეთი.

საქართველოს მშენებლობაში ძალიან დიდი როლი ითამაშა ქუჯის კოლხეთმა, რომელმაც თავი დაუხარა მოსულ ახალგაზრდა კაცს, ფარნავაზ მეფეს, რომლის დაც ცოლად შეირთო ქუჯიმ. ფარნავაზ მეფე არის ალექსანდრე მაკედონელის ომის მონაწილე, სადაც მას პატარა რაზმი ჰყავდა. მოდის ეს ტომი, თავს უხრის ჩვენი ქუჯი, რომელიც არის კოლხეთის მეფე და ნიშნავს მას თავის ხელისუფლად.

ზოგადად, ქართები არიან კუნძულ კრეტადან, რომელიც არის ხმელთაშუა ზღვის აუზში. ქართები იყვნენ საკრალური ცოდნის მქონე, უფლისგან ხელდასხმული ხალხი, რომლებიც ფარაონების კორონაციას და მუმუფიცირებას ახდენდნენ. როცა ქუჯიმ ნახა, რომ მასთან ქართის ტომის, ანუ აღმატებული ქურუმული ცოდნის ხალხია, ეგრევე თავი დაუხარა მათ და უთხრა: თქვენ მეფე და მე მონაო! ეს არის ქართის ტომის აღზევების დასაწყისი. სახელმწიფოს, რომელიც მათი შემოსვლის შემდეგ შეიქმნა, ეწოდა იბერია. მთელი ევროპის ტერიტორია იყო იბერიელებით დასახლებული. ესენი არიან ატლანტიდის კატასტროფას გადარჩენილი ხალხი და მერე მათი განთესვა, სხვა დასხვა სივრცეში განბნევა როგორ და რანაირად მოხდა, ძნელი სავარაუდოა, თუ ვაჟას „ფორმულას" არ მოვიშველიებთ. ვაჟა ამბობს: „რაც იმ ერთ ღამეს მომხდარა, შეუნახია ჰაერსა". ანუ ეს ყველაფერი ჰაერის მიერაა შენახული და ახლა ჩვენ შესაბამისი აპარატურა არა გვაქვს, თორემ ყველაფრის გაცოცხლებას შევძლებდით. მოვა დრო, რომ ყველაფრის აღდგენა იქნება შესაძლებელი, როგორც კინოსურათის, რაც კი დედამიწის ზურგზე მომხდარა. თუმცა, ეს ცოტა შორეული მომავლის ამბავია.

**— ჯერჯერობით ამაზე ფიქრი ცოტა ნაადრევია და ამიტომ ჩვენ ისევ პროტოიბერიულ რასას დავუბრუნდეთ. მაინც, რატომ არის იბერიელი სხვებისგან განსხვავებული და გამორჩეული?**

-იმიტომ, რომ სხვისთვის სიცოცხლის ჩუქება შეუძლია! მას შეუძლია თავი გასწიროს სხვისთვის, ამით არის გამორჩეული სხვა ერებისგან. წარმოიდგინეთ, 200 კაცი იჯდა ლაინერში, სადაც იყო პროფესორი ჟორდანია. ერთ-ერთი ფერადკანიანი გოგონასთვის, რომელიც უბილეთოდ მგზავრობდა, არ აღმოჩნდა „ქილეტი" და ამ კაცმა, ჟორდანიამ მას საკუთარი „ქილეტი" დაუთმო, კატასტროფის დროს რომ გადაერჩინა. ანუ საკუთარი სიცოცხლე აჩუქა სრულიად უცხოტომელ გოგონას. ესეც არის ზუსტად სულიერი მისია, რასაც ზვიადი ამბობს. კაცობრიობის სულიერი მისიის განმსაზღვრელია ეს იბერიული რასა, ეს ქართული შთამომავლობა, — რამდენი ომი და ეროვნული დაპირისპირება გვაქვს გადატანილი, შიგნით კიდევ მეხუთე კოლონა გვძიძგნის და ამ დროს ერთადერთი კაცი, ბიძინა ივანიშვილი ახერხებს, რომ საქართველოში მშვიდობა შეინარჩუნოს და გადაარჩინოს ქართული გენი. კაცმა, საკუთარი ოჯახის ყოფნა-არყოფნის საკითხი სასწორზე დადო, თავისი ბიზნესი გასწირა... ჩვენ მსგავსი გმირი არა გვყავს. საუკუნეების შემდეგ დაფასდება ივანიშვილის ფენომენი და ღვაწლი. დღეს მას ყველა ვიგინდარა ვაიპოლიტიკოსი, ან საქმეში ჩაუხედავი, ტალახს ესვრის და საქილიკოდ მიიჩნევს მის გაკეთებულ საქმეებს, მინდოდა ამ წიგნით ეს დამენახვებინა ჩემი მკითხველისთვის.

დიდ ასაფეთქებელ ნივთიერებას ერთი პატარა მუხტი აფეთქებს. ნებისმიერი დიდად ორგანიზებული სხეული, დაწყებული დინოზავრიდან, ადამიანით დამთავრებული, ერთი უჯრედისგან იწყება. აი, ამ ერთი უჯრედის გადარჩენა შეძლო ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა**, რაზეც უკვე დანარჩენი სხეულის აშენება შეიძლება. მე გავუგზავნე ბატონ ბიძინას პლაკატი სანდო ხელით, სადაც აღწერილი იყო, რომ უძველეს კოლხეთში გვიმრის გიგანტური ხეები ხარობდა. დროთა ვითარებაში შეიცვალა კლიმატი, ეს ხეები გადაგვარდა და მხოლოდ ბალახის სახით დარჩა. თუმცა, ახალ ზელანდიაში ის დღესაც არის და მე შევთავაზე მას, რომ რადგან უამრავ საქველმოქმედო პროექტს აკეთებს, იქნებ ჩამოეტანა გვიმრის ხეებიც ახალი ზელანდიიდან. მართლაც, ამ უდიდესმა ქველმოქმედმა ადამიანმა, რამდენიმე ათეული გვიმრის ხე ჩამოიტანა. ამას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც იოანე ზოსიმეს მესიანური წიგნის ჩამოტანას „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი" რომ ჰქვია. იმიტომ, რომ ჩვენ მუხის ხეზე არ ვლოცულობდით, ჩვენ ვლოცულობდით გვიმრის ხეზე. გვიმრის ხე ნაყოფს არ იძლევა, ის არის მშვენიერების სიმბოლო და სწორედ ამ მშვენიერების სიმბოლოზე ვლოცულობდით. ეს სალოცავი დაუბრუნა ბატონმა ბიძინამ საქართველოს. არაფერს ვიტყვი, რამდენი ქველმოქმედება აქვს გაკეთებული ამ ადამიანს, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მან ქვეყანა ბეწვის ხიდზე გაატარა, ომს აარიდა და ამით საქართველოს გენოფონდი გადაარჩინა.

„დიფ სთეითი", იგივე გლობალური ომის პარტია, არის ის ბოროტება, რომელიც კაცობრიობის თავზე მძვინვარებს და რომელსაც ერთი და ორი სახელმწიფოს ძალისხმევა ველარ გაწვდება. ყველაფერი მათი აგორებულია: ადამიანის უბედურებები, აფრიკის საშინელებები, დაბალგანვითარებული ერების სოციალური ფონი, ომები და სისხლისღვრა... ეს ყველაფერი მის მიერაა შექმნილი, იმიტომ, რომ ამ ბოროტებით თვითონ კოლოსალურ მოგებას იღებენ. ომი, ხომ, ზოგადად, დიდი მოგების მომტანია. იმედი მაქვს, რომ დონალდ ტრამპის მმართველობა ამერიკაში ბოლოს მოუღებს ამ ბოროტებას, თუმცა მას ამ საქმეში თავისნაირი პატრიოტი ადამიანების დახმარება დასჭირდება. მე ტრამპი აქილევსს შევადარე, რადგანაც მისი მრისხანება, მისი ძალისხმევა და თავდაუზოგავი ბრძოლა წარმატებისთვის, რამაც საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა, ძალიან დასაფასებელია. თუმცა, მხოლოდ ტრამპზე არ არის საუბარი, აქ არის ორბანი, რომელიც ქომაგად

გაგრძ. გვ. 7







# ტიტე მოსია:- ზურაბ ცხონდია და მისი „გრანელის სევდა„

ზურაბ ცხონდია გახლდათ შესანიშნავი პოეტი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ესსეისტი, ერუდირებული ლექტორი, ტერენტი გრანელის პოეზიის უბადლო მკვლევარი. იყო ზუგდიდის ინტელიგენციის გამორჩეული წარმომადგენელი. უზომოდ უყვარდა ლიტერატურა და ხელოვნება. წერდა შთამბეჭდავ წერილებს თეატრზე, გამოჩენილ თანამემამულეებზე, თანაქალაქელებზე. იყო კოლორიტული ფიგურა, რაფინირებული პიროვნება, თავისი ქვეყნის ნაღდი პატრიოტი. მომხიბლველია მისი წერის მანერა, თხრობის უნარი, შაქარწყლიანი საუბრები ნებისმიერ თემაზე. იყო სამაგალითო ადამიანი, რომელიც დააკლდა არა მარტო ოჯახს, არამედ მშობლიურ ქალაქს, მამულს, თავის უსაყვარლეს ახლობლებს, მეგობრებს.

ზურაბ ცხონდია გავიცანი ჩემი სტუდენტობის პერიოდში ზუგდიდის რაიონული გაზეთის („მებრძოლი") რედაქციაში. მასთან წარმადგინა რედაქტორმა, მამასავით საყვარელმა ისაკ ქორთუამ. დღემდე გაუხუნარია გაცნობის ეფექტი და შთაბეჭდილებანი. იმთავითვე შევუერთდი ზუგდიდელთა კოჰორტას, რომელთაც ბოლომდე უზომოდ უყვარდათ ეს ღვთისნიერი პიროვნება და მოღვაწე. მეხსიერება არასდროს გარიყავს მისი სტუმართმოყვარეობისა და თამადობის ხიბლს.

პუტჩისტების მიერ მოწყობილი სამხედრო–კრიმინალური გადატრიალების ედეგად დამხობილია საქართველოს პირველი პრეზიდე ტი და მისი მთავრობა. აპოკალიფსურ–კოშმარული დღეებ უდგას საქართველოს. განსაკუთრებით ბობოქრობდა სამეგრელო თავისი დაუმორჩილებლობის კომიტეტით. ზუგდიდში ჩამოდიან ქართველი ნაღები საზოგადოების წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები, როგორც ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები. სოხუმიდან ახლადჩამოსული შევესწარი მუხრან მაჭავარიანის, ელიზბარ ჯაველიძის, ვახტანგ ბოჭორიშვილის და სხვათა ერთ–ერთ ასეთ სტუმრობას. ზუგდიდის ერთი დიდი პატრიოტის ოჯახში გაშლილია, როგორც იტყვიან, ზღაპრული სუფრა, რასაც მეც ვესწრებოდი. თამადობდა ზურაბ ცხონდია. მისი თამადობით მოხიბლულმა მუხრან მაჭავარიანმა, თავად განთქმულმა უებრო თამადამ, ხელების აწევით წამოიძახა: ეს რა კაცი გყოლიათო ზუგდიდელებს!

1996 წელს ზუგდიდში დაარსდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი. ეს იყო ისტორიაში პირველი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, საერთოდ, სამეგრელოში და მის ცენტრ ზუგდიდში. დირექტორად დაინიშნა ღირსეული ზუგდიდელი ინტელიგენტი ვახტანგ კვარაცხელია. სწორედ მისი გადაწყვეტილებით გავხდი ამ უმაღლესი სასწავლებლის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. პარალელურად ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე. ბატონმა ვახტანგმა მთხოვა ფაკულტეტზე ღირსეული კადრების შერჩევა და მოზიდვა. პირველ რიგში ლექტორად ვის მოვიწვევდით უკეთესს, როგორიც გახლდათ ზურაბ ცხონდია. სწორედ ამ დროიდან უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა ჩემი მეგობრული ურთიერთობა ამ ღვთაებრივ და უგანათლებულეს პიროვნებასთან. სტუდენტები მოხიბლული იყვნენ მისი ლექციებით და ერუდიციით. იგი პროფესორ–მასწავლებელთა ფავორიტი გახდა.

ზურაბ ცხონდია ამაყობდა ზუგდიდელობით. თავაწეული დადიოდა მშობლიური ქალაქის ქუჩებში. მასთან შეხვედრა და საუბარი თუ დიალოგი ვის არ უხაროდა და ხიბლავდა. დათრგუნული იყო აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიით, რაშიც ხედავდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის და მისი მთავრობის ვერაგულად დამხობის შედეგს. აფხაზეთიდან დევნილებთან გასაუბრებისას იმედს ნერგავდა მათში, რომ თითქოს უახლოეს ხანებში მოხდებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აფხაზეთის დაბრუნება საქართველოს იურისდიქციაში.

აფხაზეთის ტრაგედიიდან წლები იყო გასული. მოულოდნელად ზუგდიდის მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა. უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ანგელოზური გარეგნობის და ბუნების მზეჭაბუკი დათა ცხონდია, ზურაბ ცხონდიას ერთადერთი ვაჟი. ამ ტრაგედიამ მთელი ზუგდიდი (და არა მარტო ზუგდიდი) შეძრა. გაოგნებული მივედი სმძიმარზე. გამწარებული ზურაბი მეუბნება: არ მეგონა, ჩემო ტიტე, თუ ასეთი ვერაგი და მუხთალი იყო წუთისოფელი. მე და მეუღლე ბედნიერად ვგრძნობდით თავს, ვხარობდით, რომ დათა და თამუნა დასაქმებული გვყავდა თბილისში. ამას მოაყოლა აკაკი წერეთლის სიტყვები:

„მაგრამ დიდხანს ეს სოფელი
გაახარებს ვინმეს განა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს,
მტრისას მისი გამოცანა".

ყველას მხრიდან მაშინ განცდილი მწუხარება დღემდე არ განელებულა. იმთავითვე შევეცადე, ჩემი გოდება ლექსში გადამეტანა – „დათა ცხონდიას მონოლოგი" (შესულია 2003 წელს გამოცემულ ჩემს პოეტურ კრებულში „ოდაბადე"). მინდა მკითხველს მოვაგონო ეს ლექსი: „წუთისოფელი მე ასე მახსოვს: ვეშურებოდი მზოსკენ ოცნებით. მთვარე – ვარსკვლავებს ვისვამდი მხრებზე და დავდიოდი ნათლით მდიდარი, წუთისოფელი მე ასე მახსოვს: ვყვაოდი დედის გულში ვარდივით. მამის იმედის ხეს ვამწვანებდი, ვეჯიბრებოდი დას სიყვარულში. მე ასე მახსოვს წუთისოფელი: უმანკო ტუჩით ვკოცნიდი ყველას. მიწას ვსერავდი სუფთა ფეხებით, წმინდა ხელებით ვქსოვდი დღის ბადეს. უცებ სიზმარი ვნახე უსახო: ქვესკნელისფერი წყვდიადის ტყვე ვარ, არტახებს მიჭერს სასოწარკვეთა და ვმეორდები უბადო კადრში. უცებ სიზმარი ვნახე უსახო: ცამ დაითხოვა ყველა მნათობი. მზემ აქ ვერასდროს აწუროს ყელი, მთვარის ხსენებაც ხომ ზედმეტია. უცებ სიზმარი ვნახე უსახო: გაფრენილია ჩემი მერცხალი. დაკრეფილია ხსნის ბაღში ხილი და ბაღის კარიც დაკეტილია. უცებ სიზმარი ვნახე უსახო: გადამხმარია ჩემი ბალახი, დაშრეტილია ჩემი მდინარე და ზღვა არასდროს დაელოდება. უცებ სიზმარშიც ვნახე სიზმარი: მე გადავწიე სიბნელის ფარდა. ანგელოზებმა ზე ამიტაცეს და გამომხვიეს ღვთიურ ნათელში. მყისვე უფალიც შემომეგება, მისი სავანის უზადო კართან, ბეჭზე დამადო ალერსით ხელი და შემოხაზა სიტყვები ასე: ცოტა ხანს მყავდი წუთისოფელში, რომ ჩემი ხატი მოლანდებოდათ და როგორც ჩემი სულის ნაწილი, აქ გამოგიხმე – სასუფეველში. სიზმრის სიზმრიდან რომ გამოვედი, გამომეცხადა დედა და მამა, უსაყვარლესი დაიკო ჩემი, – ცრემლების ალში ჩაღვენთილები. გთხოვთ, მაპატიოთ! უფლის შვილობა შეუცნობელი განცდა ყოფილა. მე სასუფევლის ნექტარით ვტკბები და თქვენ ნურაფრის შეგეშინდებათ. ანგელოზები რეკავენ ზარებს და მე ვიშლები ციურ ხმაურში... გოდება იქა, ქორწილი აქა, სიავე იქა, სიკეთე აქა".

დათა ცხონდიას გარდაცვალებიდან ორიოდე წელი იყო გასული. მაისის თვეში გაზაფხული თავის სტიქიაშია. შესვენებისას სტუდენტთა აუდიტორიიდან გამოვედი. კორიდორში ზურაბ ცხონდიას მივესალმე. ულონოდ იყო. დამწუხრებული. ცოტა ხანს ორივენი ვდუმდით. უცებ თავი მაღლა ასწია და მეუბნება: ხედავ, ჩემო ტიტე! – როგორ ჰყავის ბუნება, ნამდვილი მაისია, ნამდვილი გაზაფხულია, ხარობს ბუნება და ადამიანი. მე კი რა გამახარებს, როცა ჩემი დათა საფლავში მიწევს. ჩემმა სიცოცხლემ ფასი დაკარგა, რა მუხთალი და ვერაგი ყოფილა წუთისოფელი.

წუთიერად ლოდის სიმძიმის დუმილი ჩამოვარდა. დუმილი დავარღვიე და ბატონ ზურაბს მოვაგონე მერაბ კოსტავას სიტყვები. ჩვენი ეროვნული გმირი ციხეში იხდიდა სასჯელს, როგორც ბოლშევიკური რეჟიმის მსხვერპლი. სწორედ აქ ამცნეს ერთადერთი ვაჟის ირაკლის ტრაგიკული აღსასრული თავზარდამცემი ამბავი. ვინ გამოუშვებდა ციხიდან რამდენიმე დღით მაინც უკანასკნელ გზაზე შვილის გასაცილებლად. პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ ერთმა მეგობარმა ჰკითხა თურმე გაუბედურებულ მერაბს: ციხეში როცა შეიტყვე ირაკლის დაღუპვის ამაზრზენი ამბავი, როგორ გადაიტანე, როგორ გაუძელიო ამ ტრაგედიას? მერაბმა დამშვიდებით უპასუხა თურმე: ამას, მართლაც, ვერ გადავიტანდი, ჩემთვის გარდაცვლილები რომ არსებობდენო. ზურაბმა შენიშნა: მეც მსმენიაო მერაბ კოსტავას ნათქვამი, ყველა თავისი ფილოსოფიით ცხოვრობსო ამქვეყნად.

ზურაბ ცხონდია არ გატყდა, არ დაყარა ცხოვრებისა და იმედის ფარხმალი. მეუღლისა და ქალიშვილის წინაშე ყოველ წუთსა და წამს თითქოს აფთიაქის სასწორზე წონიდა თავის ქცევას და მოქმედებას მათთვის სულიერი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ისინი ერთმანეთს ამაგრებდნენ. ზურაბი წიგნს მიეძალა. გამუდმებით კითხულობდა და წერდა, სცემდა ახალ–ახალ წიგნებს. მისი შესადარი განათლებული პიროვნება არ დადიოდა ზუგდიდის ქუჩებში. ამშვენებდა თავმდაბლობა და ზრდილობა. გატაცებული იყო ქართული პოეზიით, პროზით და დრამატული მწერლობით. XX საუკუნის ქართული პოეტური კულტურის მეტრად გალაკტიონს აღიარებდა. XX საუკუნის ქართული პროზის მწვერვალად „დიდოსტატის მარჯვენას" და „დათა თუთაშხიას" თვლიდა. განცვიფრებული იყო კონსტანტინე გამსახურდიას პროზით და პიროვნებით. ღრმად განსწავლული იყო საზღვარგარეთულ მწერლობაში, ხელოვნებაში.

ახალგაზრდა მწერლებიდან მოხიბლული იყო ზვიად კვარაცხელიას ნიჭიერებით. როსტომ ჩხეიძის სამწერლო მოღვაწეობით და მთარგმნელობითი საქმიანობით, შრომისმოყვარეობით, გამოცემული წიგნების რაოდენობით (დღემდე გამოქვეყნებული აქვს 116 წიგნი – ტ.მ.) გაოცებული გახლდათ. უზომოდ აღტაცებული იყო თეატრით. მხოლოდ მას შეეძლო დაეტოვებინა შთამომავლობისათვის წერილების ვრცელი ციკლი „თეატრი ჩვენი მღელვარებისა", რომელიც სამეგრელო ზემო სვანეთის მხარის რეგიონალური გაზეთის ,,ეგრისის მაცნეს,, ფურცლებზე წლების განმავლობაში იბეჭდებოდა.

ზურაბ ცხონდიამ მრავალი წიგნის გამოცემა მოასწრო გარდაცვალებამდე ანუ 76-წლიანი ცხოვრების გზის დასრულებამდე. ერთხელ მითხრა, რომ ფიქრობდა რჩეული ნაწერების გამოქვეყნებაზე, არ დასცალდა. თუმცა ეს ჩანაფიქრი არ ჩამკვდარა, მას ხორცი შეასხა ღირსეულმა ქალიშვილმა თამარ ცხონდიამ. 2019 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა" მკითხველს შესთავაზა ზურაბ ცხონდიას რჩეული ნაშრომების სოლიდური, 560 - გვერდიანი წიგნი „გრანელის სევდა და სხვა". (რედაქტორები: ზვიად კვარაცხელია, თამარ ლონდარიძე).

თამარ ცხონდიას დავესესხები: „ამ წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა დროს შექმნილი ნაშრომები, მათ შორის მონოგრაფია ტერენტი გრანელზე. მართლაც, ერთ–ერთი ყველაზე ფასეული რამ მის შემოქმედებაში, რომელსაც დიდი ძალისხმევა შეალია... ყველაფერი ოდესღაც მთავრდება. ბედნიერი ვარ, რომ ეს წიგნი მისი ფიქრების გაგრძელებაა – დატოვა ტექსტები, მის მაძიებელ სულს და სიყვარულს აირეკლავს და ის წლობით ისევ დაგველაპარაკება".

ვიდრე „გრანელის სევდაზე" ვისაუბრებდეთ, გვინდა მკითხველს ზოგადი წარმოდგენა შევუქმნათ წიგნში შესული სხვა თავების თუ განყოფილებების ტექსტების შინაარსზე. „ერთი კაცი შეგაყვარებს ქალაქს", ფრაგმენტული წერილებით თუ ცალკეული შტრიხებით გვაცნობს სახელოვან ზუგდიდელ მოღვაწეებს საზოგადოებრივი წრის, სხვადასხვა სფეროდან. გვარების ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით: გვანჯი ჩიქოვანი, კაკა ჟვანია, არტემონ ჯიჯიხია, გიგლა ჯვებენავა, ბაგრატ აფაქიძე, თომა შენგელია, პართე ალშიბაია, მამია დოჩია, დიანოზ ჭითანავა, სევერიან ებრალიძე, ლოთი ჩიჩუა, შალვა ხარებავა, შალვა გულუა, ანდრო ბულია, კაკო კაკულია, კარლო მიქაია, ჟორჟი თუზბაია, მიტუშა შერვაშიძე, კუკური შაფათავა, დათო ყუფარაძე, ისაკ ქორთუა, მამანტი პაჭკორია, ლეო ძაძამიძე, პეტრე უბერი, მირიან ნარმანია, ასტამურ ლოლუა, პანტე თუთბერიძე, რეზო უჩანეიშვილი, კარდუ თაქთათიშვილი, რინოსი თოდუა, კაპიტონ ცანავა, ფილუ ძაძამიძე, ჭიჭიკო გვასალია, საშა ეგუტია, გიგა ბუკია, კირილე გოგოხია, ბართლომე სართანია, ვალიკო მეუნარგია, პავლე აკობია, კალისტრატე სამუშია, ბონდო მამფორია, ტიხონ ქორთუა, იმედი ალშიბაია, საშა შეროზია და სხვ.

წიგნში თავის ადგილს იკავებს ზურაბ ცხონდიას 66-გვერდიანი ნარკვევი (ფაქტიურად მონოგრაფია) საშა ეგუტიაზე, რომელიც სრულდება ავტორისავე ლექსით: „წამით სულში გეგუთია, უფლის მზერა მითბობს უბეს. ჩემი საშა ეგუტიას სული შორს, ცისფერში სუფევს. ოჰ, ეს ხსოვნაც, ცად ასული, გულზე დარდის ეკლებს გვისობს, რომ თოვლივით შენი სული გვეფეროს და გვენიაზოს. იბურება გული ნისლით და მეღვრება გულზე ღვინო, რომ კვლავ შენზე ფიქრის ღირსი სიტყვა ამოგათქმევინოს. სადღაც ფიქრში ილორია, ტანჯვა ბევრი შეგვხვდა ადრეც, კვლავ უხდი სინიორიას, ვით შანდალი საკელაპტრე, კაცთა წესი, ვიცით განა? ვინ უწყის, რას სჩადიანო. დარდი ნუ გაქვს, იქიდანაც შვენობ შენს სადადიანოს".

ზურაბ ცხონდიას „რჩეულს" ამშვენებს „სტუმარო, მოვედ მშვიდობით". მის წინათქმაში ავტორი წერს: „ეს წიგნი მოკრძალებული ცდაა ჩვენი ძირძველი სიყვარულით გულანთებული მამულიშვილების გახსენებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ ზუგდიდს და დღემდე ცრემლნარევი სიხარულით ალამაზებენ ჩვენს არსებობას". ზურაბ ცხონდია საკადრის პატივს მიაგებს ყველა იმ სტუმარს, რომელთაც თავიანთი ღვაწლით შთამბეჭდავი კვალი დატოვეს ჩვენი მშობლიური ქალაქის ისტორიაში. ესენი არიან: ბერტა ზუტნერი, არტურ ზუტნერი, ეკატერინე ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვასო ყუშიტაშვილი, რობერტ სტურუა, ანატოლი კარპოვი, დოდო ალექსიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, აშილ მიურატი და ა.შ.

„რჩეულში" შესული „თეატრი ჩვენი მღელვარებისა" ცალკე სოლიდურ წიგნად აღიქმება. ზურაბ ცხონდია თეატრს საოცრებას უწოდებდა, მიმზიდველს, მრავალსახოვანს, გამაოგნებელს... წარმოდგენილი წიგნი დიდი ინტერესით იკითხება. იგი მატიანეა ზუგდიდის თეატრალური ცხოვრებისა.

ამ ზოგადი შესავლის შემდეგ გადავდივართ ზურაბ ცხონდიას მონოგრაფიის „გრანელის სევდა" განხილვაზე, რომელიც 190-მდე გვერდს შეიცავს.

ამ საინტერესო ნაშრომის ერთგვარ შესავალ ნაწილად აღიქმება დასაწყისი – „და ვიცი, ისევ რომ ავენთები". ტერენტი გრანელის ლექსები გამოჩენის თანავე იწვევდა აზრთა და შეფასებათა სხვადასხვაობას. იდეოლოგიური კონიუნქტურის გუნდრუკის მკმეველნი ამ ტერფით თხემამდის წმინდა პოეტს უღირს შემოქმედად თვლიდნენ, ვითომდაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან განდეგილად. მავანნი დასცინოდნენ კიდეც: „გულამოსკვნილი ტირის გრანელი. ჩვენში მეორედ მოსული ქრისტე. უშნო, ულონო, დაუბანელი მათხოვარივით საფლავებს მისდევს". ნიჭიერი ლირიკოსის ცალმხრივმა შეფასებებმა მოიცვა საზოგადოება პოეტისავე სიცოცხლეში. გარდაცვალეის შემდეგ კი ათეულობით წლების მანძილზე ტყვიის ლოდივით დამძიმდა დუმილი გრანელის პოეზიის თავზე. დავიწყების გვირაბის იქით წყვდიადი მეფობდა.

სწორად შენიშნავს ზურაბ ცხონდია: „ვერ დავეთანხმები მტკიცებას, თითქოს გრანელის სევდა მისი პირადი უიღბლობის, უკიდურესად შეჭირვებული ყოფიდან იღებდეს სათავეს. პრობლემის ასე მარტივად, დავიწროებული ჭრილით გააზრება ნიშნავს თვალის დახუჭვას იმ სახმილზე, რომელიც მსოფლიო სევდის მატარებელი დიდი პოეტების დარად სწვავდა ტერენტი გრანელს".

ბოლშევიკური კოშმარის პერიოდში ტ. გრანელმა იწინასწარმეტყველა, რომ დადგებოდა მისი პოეზიის გაგების დრო. ეს დროც მოვიდა XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან, როცა დაიბეჭდა მწერალ ელიზბარ უბილავას ძალისხმევით ჩვენი დიდი პოეტის „რჩეული", რომელსაც დართული აქვს შემდგენლისა და გამომცემლის საგულისხმო ვრცელი წერილი, რომელმაც ფაქტიურად ტონი მისცა გრანელის ლირიკის სწორად შესწავლას და შეფასებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა კონცეფცია, რომ ტ. გრანელის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მის შემოქმედებაზე გავლენა იქონია ქართულმა მოდერნიზმმა... ქართველი სიმბოლისტების თუ ცისფერყანწელების ესთეტიკურმა პრინციპებმა ამავე თვალთახედვას იზიარებს ზურაბ ცხონდიაც: „სრულიად ახალგაზრდა გრანელის მსოფლმხედველობასა და პოეტური სტილის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ცისფერყანწელთა ლიტერატურული

# ტიტე მოსია:- ზურაბ ცხონდია და მისი ,,გრანელის სევდა,,

კორპორაციის ესთეტიკურმა პრინციპებმა: „ბევრი დაიწერა ცისფერყანწელთა ესთეტიკური პრინციპების გავლენის შესახებ გრანელის შემოქმედებაზე”.

სიმბოლიზმთან მიმართებაში, ზურაბ ცხონდიას ენით რომ ვთქვათ, გრანელი ავლენს სიდინჯეს, გარკვეულწილად ხარკს უხდის სიმბოლისტურ მოტივებს, მაგრამ ემიჯნება კიდეც სხვადასხვა მიმდინარეობებს და ცდილობს თვითდამკვიდრებას, ესწრაფვის საკუთარ პოეტურ ავტონომიას. ამ საკითხს ავტორი კვლავ უბრუნდება ქვემოთ სპეციალურ წერილში „გრანელი და სიმბოლიზმი” (გვ. 149-163). სტატიაში გრანელი მიკუთვნებულია იმ პოეტთა რიცხვისთვის, რომელთაც მალულად უნდა მიეღოთ ფრანგი შ. ბოდლერის, ა. რემბოს, პ. ვერლენის, ავსტრიელი ჰოფმან სტალის და რ. რილკეს, ბელგიელი ვ. ვერჰარნის და მ. მეტერლინკის, რუსი ა. ბლოკის, ა. ბელის ვ. ბალმონტის, ვ. ბრიუსოვის და სხვათა განსაცვიფრებელი პოეტური სამყაროდან მომდინარე იმპულსები. წარმოჩენილია გრანელის სულიერი ნათესაობა სხვადასხვაენოვანი მუზების შეხმიანებასთან ირაციონალური სფეროების ჭვრეტისას მინიშნებულია იმაზეც, რომ გრანელს ბრმა თაყვანისცემა არ გამოუჩენით რომელიმე ლიტერატურული სკოლის მიმართ. ყოველგვარი დაჯგუფებისაგან განაპირებულ, საკუთარ მარტოობას შეხიზნულ ინდივიდუალობად დარჩენა ამჯობინა.

ტ. გრანელის სევდის პირველ მიზეზად ზ. ცხონდია მიიჩნევს – ჯოჯოხეთის, სიკვდილის არსებობის შიშნარევ განცდას, როგორც მაღალ რეგისტრს მელანქოლიური განწყობილებისა, როცა ბედნიერების ნებისმიერი ფორმულა არყოფნის ტრაგიკული შეგრძნებისაგან ინგრევა. ავტორი ტ. გრანელის სევდის კიდევ ერთ „შხამიან წყაროზე” მიგვანიშნებს: „მშობლიური სოფლის იდილიას მოწყვეტილი სული, შეეჩეხა რა ქალაქის პირქუშ, უსახურ, იდუმალ სამყაროს. დამტვერილი ლითონისა და ქვის ყრუ კედლებს, ტკივილის დასაამებელ ოაზისებს ვერ პოულობს”. უსიცოცხლობაში, აუტანელ სიბნელეში საგნები ქიმერებად ქცეულა „ამ დამაღონებელ დეკორაციაში არც ადამიანი გამოიყურება უწინდელი დასაბამიერი ცხოველმყოფელობით, სილაღითა და გადაგვარების ფერიცვალების ამ კარუსელს მოაქვს არარაობის მძაფრი შეგრძნება, ძველ ნანგრევებთან, სასაფლაოებთან სიახლოვის სურვილი”.

უმთავრესად ამ მიზეზებით გამოწვეული ტ. გრანელის სევდა და არარაობის შეგრძნება ავადმყოფურად გადაედება მკითხველს, რომელსაც პოეტი მოცემული რეალობის სივრცეში კი არ ტოვებს, არამედ გადაჰყავს იგი „მესამე სინამდვილეში”, ანუ მისტიკურ საყაროში ეს კი მკითხველში „მკვდრეთით აღდგომის, ხელახლა შობის მისტერიაა, რომელიც უჩვეულო აღმაფრენასთან ერთად მშობლიურ მიწასთან განშორების უმძაფრეს განცდას ბადებს”. პოეტი სიტყვას გულიდან სისხლს გამოაყოლებს: „და ახლა თითქოს არ ვარ მიწაზე”. ვინაიდან სულ სხვა ფიქრები აწვალებენ, ვინაიდან მასში მისტიკური ხილვები („საოცრების ლანდები”, „თეთრი სავანე”, „ცისფერ სიშორე”, „შორეული იმედი”...) „სიმბოლურ–მეტაფორულ სახეთა თვალისმომჭრელ ვარიაცებად იშლებიან”.

ზ. ცხონდიას გრანელის პოეზია აგონებს იმ ფანტასტიკურ ოაზისს, სადაც ზოგჯერ ყოველივეს კოსმიური სიჩუმის ფარდა აფენია ხან კიდევ ამ შემაძრწუნებლად მდუმარე სამყაროს ავად ამშლელი დემონური ძალები ბობოქრობენ. ავტორი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს „მესამე გზის” ძიების უმთავრესობას გრანელთან, რაც იდუმალების, მარადისობის უხილავი სფეროა, რომელსაც ინიციაციის საფეხურების გავლით, თეოზისით უნდა მიწვდე. სწორად შენიშნავს მკვლევარი, რომ პოეტისათვის მესამე გზა მისი შინაგანი დუალიზმის (მარადიულის და წარმავალის, ცხადის და უხილავის) დაძლევის ფანტასტიკური რწმენაა, რაზეც ლ. სორდიაც მიგვანიშნებდა თავის დროზე. თუმცა „უარყოფის სული” მესამე გზის ძიებით აღტკინებულ პოეტს ჟამ–ჟამ ირაციონალურთან ზიარების შესაძლებლობაში აეჭვებდა: „მე რომ გაფრენა არ შემიძლია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას”, „რომ ვერ შევძელი გასვლა მიწიდან, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას”. აქ საქმე გვაქვს რა დაეჭვებისა და ჟინის შეუთავსებლობასთან, მესამე გზის ძიების სწორუპოვარი ჟინი მაინც იმარჯვებს: „იდუმალია ის გზა მესამე, ნუთუ ცხოვრებას ვერ გავექცევი”.

ზ. ცხონდია ასე გვაკვალიანებს: „მესამე გზის ძიება ამქვეყნიური არსებობის საზღვრების გარღვევას და ჭეშმარიტ ყოფიერებაში გადასვლას გულისმობს. ეს კი საკუთარ არსში შეღწევის და მის უკიდეგანო წიაღში ღმერთის აღმოჩენის და შეცნობის გზაა. ასეთი რამ მარტოსულის ხვედრია”...

ზ. ცხონდია ცდილობს ტ. გრანელის ლექსებზე ღრმა დაკვირვებით პოეტის პიროვნების პიროვნული პორტრეტის ამოცნობას. გრანელი მას აგონებს იმ უძველესი მისტერიების ხელდასხმულს, რომელიც სიკვდილის კარიბჭის გავლით აღწევდა ფიზიკური სხეულისაგან გათავისუფლებას. პოეტი ატანილი ჰყავს ზესამყაროს უმძაფრეს განცდას, რომელშიც ცოდვით დაცემამდე ადამიანის დასაბამიერი არსებობა მოიაზრება. „მისი წუხილის სათავეც აქედან მოდის: ადამიანი გაუცხოვდა იმ ჭეშმარიტ არსთან, ღვთაებრივ ლოგოსთან, რომლის წიაღ ცხოვრობდა. ხსნა უნდა ვეძიოთ ღვთიური ცნობიერების დაბრუნებაში, როცა ქრისტე კვლავ აღამაღლებს ადამიანს დასაბამიერ სამშობლოში”. ტ. გრანელი შესთხოვს ღმერთს, უშველოს და შეეწიოს: „წმინდაო ღმერთო, ძალა მომეცი. ღმერთო! მიშველე და შემეწიე”. ამიტომაც გვარკვევს სურვილში: „გავალ მიწიდან, მინდა ალერსი, ისევ მიზიდავს ცა უმაღლესი”.

გასათვალისწინებელია და გასაზიარებელიც „გრანელის სევდის” ავტორის კონცეფცია, რომ ტერენტი გრანელი სიცოცხლეს კი არ უარყოფს, როგორც ყოფიერების ფორმას, მარადიულ უსაზღვროებას, არამედ მის რეალურ, კონკრეტულ მონაკვეთს, ჟამიერ ცხოვრებას, რომლის წიაღ ჩვენ, ადამიანები, დაუმთავრებელი ტკივილებისა და მწუხარების ქვეშ ყოფნისთვის ვართ განწირულნი: „ღმერთო, სიცოცხლის შუქი მაღირსე”, „და მე სიცოცხლეს ვუმღერი ისევ და მე სიცოცხლე ისევ მწყურია”. მაშ, რა სტანჯავს პოეტს, ვინ შეუმღვრია სულის კამკამა წყაროსთვალი უნაპირო სევდის შხეფებით? – კითხულობს მკვლევარი და იქვე პასუხობს: მიწიერი სიყვარულისა და სიხარულის ამაოება, დაუდგრომლობა, მისი ეფემერულობაა. სად არის გამოსავალი? „გრანელის პოეტურმა ინტუიციამ მესამე გზას მიაპყრო მზერა”... „ახლაც ვფიქრობ და მწამს მესამე გზის არსებობა, როგორც იდუმალებამ. მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხსნის მე განსაცდელისაგან”.

ზ. ცხონდია გვარწმუნებს, რომ მესამე გზის აღიარება არ უნდა მივიჩნიოთ პოეტის ერთგვარ ახირებად, ამტკიცოს ამქვეყნიური არსებობის ილუზორულობა. ამაოდ დამშვრალს უწოდებს იმათ, ვინც ტერენტი გრანელში ეძებს წუთისოფლისგან განდგომილ მწირს, ანაქორეტს, ვინაიდან მისი ტანჯვა–წამების წყარო სიცოცხლის, როგორც აღუვსებელი საწყაულის, აღქმაშია. მკვლევარი განაგრძობს: „გრანელი სიცოცხლეზე „ჰოს” მთქმელი პოეტია, მაგრამ ერთი „შესწორებით”. იგი იტოვებს უფლებას ერთბაშად, სპონტანურად კი არ აღიაროს ღვთიურ ჭეშმარიტებათა შეუვალობა. იგი ადამიანია და სწყურია შინაგანი თვითჩაღრმავებით, გონებისმიერი წვდომით, მტანჯველი ყოყმანის გზით მიაგნოს ღვთის სახლს და სამუდამოდ იქ დაეფუძნოს. უთუოდ დაეჯერება ავტორს, რომ გრანელის პოეზია დანაღმულია სიცოცხლის საზრისის დაკარგვის ონტოლოგიური შიშით. ვაი თუ ვერ იპოვოს საკუთარ თავში შველა, გზა ღმერთისაკენ, უფრო სწორად, „მესამე გზა” და დარჩეს სამუდამოდ მიჯაჭვული მიწასთან. მკვლევრის დასკვნით, ადამიანს შეუძლია „იმ” ჭეშმარიტ რეალობას მიაღწიოს შინაგანი ჭვრეტის, მედიტაციის გზით.

ყოველივე ამას ზ. ცხონდია მიჰყავს იმ თვალსაზრისამდე, რომ მისტიკური მიოტივებით პოეტი დავალებულია არეოპაგიტული მოძღვრებისგან, რომლის თანახმად, ყველაფრის პირველმიზეზი (ღმერთი) არის უზენაესი. ტ. გრანელთანაც ირეალური სამყაროს ძიება ღმერთის სიყვარულითაა შთაგონებული.

საკითხთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გავიმეოროთ თვითონ ზ. ცხონდიას მიერ ციტირებული გ. მამფორიას სიტყვები: „ტერენტი გრანელის ლირიკაში ცისა და მიწის კონფლიქტი დაპირისპირებულ მხარეთა ერთიანობაა დიდი მიზნის მისაღწევად. ეს არის პოეტის მიზანი მისტიკის გზით შეუერთდეს ჭეშმარიტებას, უმაღლეს ტრანსს – ღმერთს.

ნაშრომის ავტორის შენიშვნით გრანელი შორს იჭერს თავს შუა საუკუნეების რელიგიურ–ფილოსოფიური თვალსაზრისებისაგან, რომლებშიც გვხვდება ასკეტიზმის მოთხოვნები. მესამე გზის მისტიკური ჭვრეტა, რაც გრანელთან ღმერთის ძიებით არის შთაგონებული. ერთი წუთითაც არ გულისხმობს ასკეტიზმის დაშვების შესაძლებლობას.

არაერთხელ უბრუნდება ზ. ცხონდია იმის ჩვენებას, რომ პოეტს საკუთარი სხეული სატუსაღოდ ესახება, რომ სხეული სულის საპყრობილეა. აქ დავიწყებული არ არის პლატონისეული ნააზრევი, რომ სხეული სულის საპყრობილეა, რომელშიც იტანჯება ჩვენი სული, საიდანაც იგი თავის დაღწევას და იდეათა წმინდა სამეფოსკენ გაჭრას ლამობს. ამის გამოძახილად აღიქმება ტერენტისეული გამოთქმანი: „ჩემს ამგვარ გრძნობას ტირილს ეძახიან წმინდაო ღმრთო! მე დიდხანს გელოდი. სული სხეულის ჩუმი ტუსაღია, სული – უცნობი, სული – ანგელოზი”. ან კიდევ: „ცეცხლი მსგავსია ჩემი ფიქრების და საღლაც მივსდევ ცისფერ ზმანებას. მოცემულ სხეულს ვერ ვურიგდები, მაგრამ ჩემია და მენანება. ეს უდაბნოა და მარტო მე ვარ. დგება ლანდივით მზე ნაწვიმარი. ვიცი, სხეულმა რომ დამატყვევა, ტანი – ციხეა, მე –პატიმარი”.

„პოეტის ამდაგვარი მისწრაფება, შენიშნავს ზ. ცხონდია, – ნაკარნახევია საგნების, არსისა და ფორმის ღვთიური პირველსახის აღმოჩენის ფანატიკური წყურვილით. გრანულს აძრწუნებს ის ნაპრალი, რაც არსებობს შემქმნელის (ე.ი. ღმერთის) და შექმნილ არსებებს შორის ამიტომაც შუა საუკუნეების სქოლასტიკური მოაზროვნების დარად ცდილობს მის დაძლევას. შინაგანი დუალობის დაძლევის პერსპექტივად მას ესახება მესამე გზა”: „დაო, რა ვქნა, მესამე გზას ვეძებ და მაღლიდან მთვარე ტყვიას ისვრის. ასე ვზივარ გარინდული კლდეზე დგას ჰაერში მოთენთილი ნისლი”.

დემონურის დანახვამ მიიყვანა ზურაბ ცხონდია ფაუსტურის ძიებამდე გრანელის ლირიკაში. იგი „კოშმარული აზრების პირისპირ დარჩენილ სევდამოძალებულ პოეტს წინ აეტუზება, როგორც მისი აღგზნებული გონების ან წარმოსახვის შედეგი. ზოგჯერ მისი ორეული „უცნობი თვალის” სახით იმზირება სასაფლაოს მდუმარებიდან: ხან ეს „უჩინარი მეორე” ინკოგნიტოდ გამოეცხადება, ყორანიც გამოკრთება მის წარმოსახვაში. არა მხოლოდ ლექსიდან, არამედ გრანელის დღიურებიდანაც მოისმის ყვავის ჩხავილი. მკვლევარი მიგვანიშნებს ბოლშევიკურ ექსტრემიზმზე, რომელმაც თავისუფლების იდეალების განხორციელების რწმენა შეურყია.

მოვუსმინოთ ნაშრომის ავტორს: „ტერენტის ეს უკიდეგანო სევდა, შობილი ეპოქის წინააღმდეგობით და ტკივილებით, მაინც ვერ ახშობს სიცოცხლის ასე მოყვარული, ღვთის მოშიში შემოქმედის სულიერ აღმაფრენას და ვერ ამწყვდევს მას ინდივიდუალური მეობის მიკროწრეში”: ზ. ცხონდია შეგახსენებს, რომ ფაუსტი სამყაროს მიღმა ეძებს აბსოლუტურ მარადიულ ჭეშმარიტებას ეს არ იყო მისი თვითმიზანი. ეს მას სჭირდება რეალურ სინამდვილეში ეპოქალური გარდაქმნების, საზოგადოებრივი პროგრესის განხორციელებისათვის მეფისტოფელსაც ამ მიზნით „უმოყვრდება”, ვინაიდან სჯერა, რომ იგი ფლობს რაღაც საიდუმლო ცოდნას, რომლითაც მ ოხერხდება იდეალური ტრანსცენდენტური სამყაროს იდუმალებაში შეღწევა და აქამდე ბევრი ბუნდოვანი საკითხის გარკვევა.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიამ ობიეტქური ჭეშმარიტების შეცნობის შეუძლებლობა აღიარა როგორც მ. კვესელავა („ფაუსტური პარადიგმები”) შენიშნავს, ფაუსტური პარადიგმების კანტიანური მაძიებლებიც იძულებული ხდებიან მხოლოდ მოვლენების სფეროთი დაკმაყოფილდნენ და ხელი აიღონ ობიექტური ჭეშმარიტების წვდომაზე. ისინი ფიქრობენ, რომ ამაოა გონებისათვის მიუწვდომელი პირველარსისა და პირველწყაროს ძიება. უმჯობესია ფაუსტური მაძიებლები შეურიგდნენ თავიანთ შესაძლებლობათა შეზღუდულობის ფაქტს და მეფისტოფელის შეგონებისამებრ თავი ანებონ ადამიანური არსებობისათვის შეუძლებელსა და მიუღწეველს, სულერთია, მათი აზროვნება მაინც ვერაფერს მიწვდება.

გამომდინარე აქედან, ზ. ცხონდია სვამს კითხვას თუ როგორ იქცევა გრანელის ლირიკული გმირი? იქვე განაგრძობს მსჯელობას, „რადგან ერთხელ მყარად იწამა მესამე გზის არსებობა, არაფრისდიდებით არ სურს მიღწეულიდან უკანდახევა. სულის წვალებით და ფორიაქით მიიწევს წინ წლობით გატანჯული რწმენის მაღალი ტაძრისაკენ, რატომღაც არ გვემეტება იგი ფაუსტურ ლიტერატურაში მოხეტიალე ინდივიდუალისტური მეამბოხეებისთვის შესადარებლად, რომლებიც სიცოცხლის ნებით მნიშვნელოვნად აჭარბებენ გრანელის გმირს, მაგრამ გაცილებით უფრო ძალუმად ამჟღავნებენ დემონურისკენ მიდრეკილებას”.

საგულისხმოა ზ. ცხონდიას დაკვირვებანი ლერმონტოვის დემონთან გრანელის ლირიკული გმირის მსგავსებასთან დაკავშირებით. დემონთან, რომელსაც თან ახლავს ფაუსტური სულის ტრაგიზმი. მკვლევარი შეგვახსენებს, რომ ლერმონტოვის დემონს აღელვებდა დასაბამიდან სამყაროს წყობის წესრიგის დარღვევა. ზ. ცხონდია გვაკვალიანებს: „ლერმონტოვის დემონი ჰგავს კიდეც გრანელის ლირიკულ გმირს. ეს უკანასკნელი იტანჯება დედამიწაზე გამეფებული უკეთურებით, მანკიერებით, მაგრამ გრანელთან რეალობის ნათელ, ანგელოზურ შუქში ჭვრეტის პოეტური პოტენციაც მჟღავნდება... „შინაგანი სულის თვალით” ზეციურ ნათელს, ანგელოსურ აჩრდილებს, სიკეთეს და იმედებს ელაციცება. თავის მარადიულ თანამგზავრ ღამეში განთიადის პოტენციას ჭვრეტს”.

ზ. ცხონდიას გრანელის პოეზიაზე ფიქრისას რჩება შთაბეჭდილება, რომ პოეტს თავის წარმოსახვით პოეტურ სამყაროში მოგზაურობისას მეგზურად ასდევნებია ანგელოზი. ანუ ღვთაებრივი ფერია, მისი უჩვეულო შთამაგონებელი. „გრანელი ფაუსტივით ცდილობს სულის ხსნის გზის პოვნას და ამ მიზნის მისაღწევად მოუხმობს სულებს დახმარებისათვის.”

ტ. გრანელის ნათქვამი: „შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ. წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია”. ეს სტროფი ზ. ცხონდიას შეახსენებს ბაირონის ტრაგიკული პერსონაჟის სულის კივილს: „კრულვა მას, ვინც სიკვდილისთვის სიცოცხლე მომცა! წყეულიმც იყოს, ვინც მაჩუქა სხეული ესე მისთვის, რომ ბოლოს მტვრად გარდამექცეს”. მაგრამ „გრანელის სევდის” ავტორი ფიქრობს, რომ ეს არ არის პოეტის ხანგრძლივი განწყობა კერძოდ, მისი სულიერი სწრაფვა იმ დიადი, პლანეტარული სინათლისკენაა მიმართული. მასში შფოთავს კეთილი სული ფაუსტისა, რომელიც ადამიანურ შესაძლებლოთა შეზღუდული წრის გარღვევას ესწრაფვის, ცდილობს ბარათაშვილის მერანივით გადაიაროს „ბედის სამძღვარი”, წარმოსახვით მაინც გასცდეს დროისა და სივრცის ფარგლებს და შეუერთდეს „მარადიულ ყოფნას”.

გრანელის პოეზიის მცოდნეს კარგად მოეხსენება, რომ პოეტი თავის ერთ–ერთ ლექსში („მამა”) ასახელებს „ასე იტყოდა ზარასტუსტრას” ავტორს ფრიდრიხ ნიცშეს: „და რაღაც ასო ცაზე სწერია,ეს მი პასუხეს გულის ნიშნებმა და მამაჩემი ბედნიერია და მამაჩემი ფრიდრიხ ნიცშეა”. ცხადია, ეს არ არის უნებლიედ წამოცდენილი სახელი. უეჭველია ტ. გრანელი იცნობდა კარგად ნიცშეს გონების ნამუშაკევს. ბუნებრივია, ამან ზ. ცხონდია მიიყვანა გრანელის ლირიკაში ნიცშესთან აზრობრივი შეხების წერტილების ძიებამდე. პირველ რიგში სახელდება ის გარემოება, რომ გრანელის მიერ მესამე გზის ძიებაში ირეკლება ნიცშეს „მარადიული დაბრუნების მისტერია”. მკვლევრის აზრით, გრანელი საკუთარ სულთან მოკამათე ადამიანის განყობილებით ენათესავება ზარატუსტრას, ვისაც წუთითაც არ სცილდება ბოროტისა და კეთილის მიღმა არსებული უცნობი სამყაროს ასე „ახლობელი და სასურველი” სიშორის განცდა. გამუდმებული ფიქრი სიშორეზე გრანელის სევდის უძირო ჭად, მის კამკამა წყაროსთვალად უნდა მივიჩნიოთ.

ზ. ცხონდიას დაკვირვებით, გრანელის ლირიკულ გმირს და ნიცშეს ზარატუსტრას ერთნაირად სძულთ „უკანასკნელი ადამიანი”, რომელიც შეგუებულია დუნე, ჭაობისებურ ცხოვრებას, ვისთვისაც უცხოა მაღალი იდეალები, უჭირს ადამიანთა შორის ყოფნა და გული

გაგრძ. გვ6

# ტიტე მოსია:- ზურაბ ცხონდია და მისი „გრანელის სევდა"

მარტოობისკენ მიუწევს მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ ზარატუსტრა იდეალურ ადამიანს ირეალურ სამყაროში კი არ ეძებს, არამედ „ზეკაცში", რომელიც არსებული სინამდვილის შემოქმედი ნების განსახიერებაა. გრანელის ლირიკის კმირი კი, – განაგრძობს ზ. ცხონდია, – მიელტვის ტრანსცედენტურ სამყაროს, როგორც ჭეშმარიტ არსებობას. გრანელი თავის იდეალს მესამე გზას უკავშირებს.

ამ საინტერესო წიგნის ავტორი გრანელს შეხების წერტილებს უძებნის ეგზისტენციალისტებთან ქრისტიანული მსოფლმხედველობის გაგების სფეროში. აქვე უყურადღებოდ არ ტოვებს იმ ფაქტსაც, რომ პოეტი კონცეპტუალურად შორდება კიდეც ეგზისტენციალისტებს მარადისობასთან ზიარების შესაძლებლობის აღიარების თვალსაზრისით.

მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად, ეხება ზ. ცხონდია მარადქალურ იდეას გრანელის ლირიკაში: „ტერენტი გრანელის პოეზიაში ფიზიკურ მშვენიერებაში მარადქალური იდეალის ჭვრეტის საოცარ მხატვრულ განსახოვნებასთან გვაქვს საქმე. საყვარელ არსებაზე ფიქრიც კი მიჯნურში სულიერ გასხივოსნებას, დღესასწაულის შეგრძნებას იწვევს. ტერენტი გრანელის სულიერი ეგზალტაციის ცოცხალი, ამქვეყნიური შეგრძნებიდან მომდინარე სურნელით არის გაჯერებული: და მოლოდინიც სცადეს თვალებმა, მოვარდა ქარი და სული მიჰყავს და ახლაც სადღაც შორს იმალება ქალი, რომელიც მე ასე მიყვარს".

როგორც ვიცით, ქალის სახის ჩვენებით დიდად განებივრებული არ არის გრანელის პოეზია. აქა–იქ გაიბრწყინებს მისი ხატება. რად ღირს მარტო ლენორაზე დაფიქრება. ზ. ცხონდიას თვალსაზრისით, ლენორას რეალობა კამათის საგნად არ უნდა ვაქციოთ და მასში უპირველეს ყოვლისა, მარადქალურის სიმბოლო დავინახოთ. მკვლევარს მოვუსმინოთ: „სიყვარულს ტერენტი გრანელი აღიქვამს, როგორც კოსმიურ ძალას, რომელმაც ქაოსიდან შექმნა სამყარო და კაცობრიობის მთლიანობისა და განვითარების პროცესს საფუძველს პირველ–მიზეზად დაედო. მისთვის სიყვარული ღვთაებრივი ეროსია, რომელიც თვით ქრისტეს დარად უგზავნის თავის იმპულსებს ყოველ არსებას ქალისადმი ტრფობაში პოეტი ისევ და ისევ მარადქალურს მიელტვის". და ბოლოს: „ლენორა ტერენტისათვის სიყვარულის უკვდავი სულის მატარებელი სერაფიმია, რომელიც ჭეშმარიტი სამყაროს სულიერი წვდომისათვის შეამზადებს პოეტის მაღალ „მე–ცნობიერს". გრანელისათვის ეროსი საღმრთო ტრფიალების გზაა უსრულყოფილესი ცხოვრებისკენ, რომელსაც ღმერთი უბოძებს ადამიანებს".

მკვლევარი მსჯელობს გრანელის მისტიკურ ჭვრეტაზე, რომლის ობიექტად უქცევია ცანი ცათანი ანუ ზესთასოფელი. სწორედ აქ ეგულება სატრფოს უკვდავი სული. ოცნებად ქცეული ქალის სანუკვარ სულთან კონტაქტი მას უზენაეს შვებას და სიხარულს ანიჭებს: „ეს განცდა თავისი სიწრფელითა და ცხოველმყოფელობის ხარისხით – თვით ქვეყნის გაჩენის წინაშე ლოცვად დამდგარი – ვანდობილის განცდების ტოლფარდია. ამ დროს თვით ფიქრშიც კი გამორიცხულია იოტისოდენა სიბილწე. ასეთ წუთებში ფიქრებსა და სიტყვებს შორის განსხვავება ბოლომდე ქრება და მხოლოდ „დუმილი მეტყველებს" – უფრო მეტიც. ადამიანთა სულებს შორის ზღვარი წაშლილია და თითქოს ორი „მეს" ერთარსებად გარდასახვის ენით გამოუთქმელ მისტერიას განვიცდით: „ჩემებრ გაფრენის სურვილს ანთებდა ეს ცა მაღალი და ასე მუქი, ვამჩნევდი, სახეს რომ მინათებდა შენი თვალების ცისფერი შუქი".

საუბრობს რა წიგნის ავტორი ქალთან ტ. გრანელის დამოკიდებულებაზე, მიდის იმ დასკვნამდე, რომ პოეტისთვის ქალი იდუმალებით მოცული სამყაროა, რომლის შეცნობას ისევე ესწრაფვის, როგორც ნაოცნებარ ზესთასოფელს, ირეალურ ქვეყანას. მარადქალურისადმი ლტოლვა თავისი სულიერი აქტივობით უტოლდებაო უსასრულო სამყაროს წვდომის ექსტაზს, რაც კაცობრიობის სიყვარულსაც გულისხმობს.

უყურადღებოდ არ დარჩენილა სამეცნიერო ლიტერატურაში შუა საუკუნეების ქართული სიტყვიერი კულტურის ანარეკლის ჩვენება გრანელის ლირიკაში. ლიტერატურული პარალელების წარმოჩენით დაინტერესებული „გრანელის სევდის" ავტორიც. აქცენტირებულია კონკრეტულად დავით გურამიშვილის „დავითიანის" პარალელები გრანელის პოეზიაში. თუმცა ეს საკითხი ვრცლად არ განხილულა. შემოფარგლულა მხოლოდ ერთი ასპექტის ჩვენებით. მხედველობაში მიიღება ორივე პოეტის დამოკიდებულება წუთისოფლისადმი გამოვლენილია პოეტური ნათესაობა დიდად მორწმუნე ამ საოცარ შემოქმედთა მხრიდან.

ზ. ცხონდია ასევე წარმოაჩენს ტ. გრანელის სულიერ ნათესაობას მისივე თანამედროვე დიდ მწერალთან კ. გამსახურდიასთან, აქცენტი კეთდება ექსპრესიონისტულ ესთეტიკაზე. „ექსპრესიონიზმში, – წერდა კ. გამსახურდია, – ერთმანეთს ხვდებიან აქტივიზმი, მისტიციზმი, ესთეტობა. აქტივიზმი ამ მიმართულებისთვის ნიშანდობლივ ბუნტარულ სულს გულისხმობს, მაგრამ იგი მხოლოდ უკმაყოფილება იყო, რომელსაც არ ჰქონდა გარკვეული მიმართულება და მხოლოდ სიტყვიერი მოწოდებით კმაყოფილდებოდა: „ძირს ომი"; „ძირს მსოფლიო კაპიტალიზმი!" ეს იყო უკანასკნელი გაბრძოლება ინტელიგენციისა, რომელსაც პერსპექტივა არ ჰქონდა, უპერსპექტივობა სკეპტიციზმს ბადებდა, ხოლო როდესაც სკეპტიციზმი და ოცნება შეუღლდებიან, წარმოიშვება მისტიკა. საზოგადოებაში ყოველგვარი კანონზომიერება ეჭვსქვეშაა დაყენებული. ამ ეჭვს ექსპრესიონისტთა უნიადაგო ოცნება ერთვის და იბადება მისტიკაც ეს მისტიკური განწყობილებანი ხან ქრისტიანული შეფერილობისაა, ხანაც აზიური რელიგიებით დავალებულია... ექსპრესიონიზმი არც ლიტერატურული მოდაა, არც ესთეტიკური პოზა იგი. ახალი რელიგიაა ევროპის უახლესი თაობის".

ექსპრესიონიზმი მისაღები აღმოჩნდა გრანელისთვის, რამაც სულიერად დაანათესავა კ. გამსახურდიასთან. დიდ მწერალსაც მოსწონდა გრანელის ლირიკა. ჩვენც გავიმეორებთ ზ. ცხონდიას ციტირებულ სოსო სიგუას სიტყვებს: „ტერენტი გრანელის პოეზიაში კონსტანტინე გამსახურდიას ხიბლავდა „მინანქრის სტრიქონები"; „გულწრფელი ცრემლები"; „დიდი მჭმუნვარება", მაგრამ ყველაზე მეტად მისტიკური განწყობილება ტერენტი გრანელის წარმომავლობა, მოტივები, ლექსის ტექნიკა, ეროვნული თვალსაზრისი კონსტანტინე გამსახურდიასათვის მახლობელი იყო".

საგულისხმო დაკვირვებებს ვეცნობით წიგნში ტერენტი გრანელის პოეტიკაზე, სიმბოლურ–ალეგორიულ აზროვნებაზე, მეტაფორულენოვან მეტყველებაზე, პოეტის სულიერ კავშირზე კლასიკურ მემკვიდრეობასთან, განსაკუთრებით დავით გურამიშვილთან. მსჯელობს ავტორი გრანელის ლექსებში რიტმულ მრავალფეროვნებაზე, რითმების ნაირსახეობაზე, გამოსახვის პლასტიკურ–არტისტულ მანერაზე. ინტერესს იჩენს პოეტის მხატვრული მეთოდის ენის სპეციფიკური და სისტემის კომპლექსური შესწავლის მიმართ.

ზ. ცხონდია წერს: „გრანელთან რელიგიურ–მისტიკური პლანი სიმბოლო–ალეგორიათა თვალწარმტაცი ვარიაციებით ატყვევებს მკითხველს. აქ „უცხო და შორეული მხარის" აღმნიშვნელი იმდენი ხატი, ნიშანი, ფერი ტრიალებს, რომ ამ ფანტასტიკური ხილვების „გონების რუქაზე დაბინავება" მართლაც ჭირს", ავტორი საუბრობს ცისფერის სიმბოლიკაზე, ცისფერ წვიმაზე". მას საერთოდ „წვიმის" სიმბოლური სახის ხშირი ვარირება აფიქრებინებს მის ქვეშ მაცხოვრის, ღვთისმშობლის ან მარადმშვენიერი ქალის წარმოდგენის სურვილს. გრანელისეული „ცისფერი" კარნახობს ბარათაშვილის „ცისა ფერთან" იდენტურობას.

ნაშრომში ტ. გრანელი აღიარებულია სალექსო მეტყველების ვირტუოზად. ყურადღება გამახვილებულია პოეტის სტროფის სილაბურ–ტონური ლექსთწყობის კანონებისადმი „მორჩილებაზე", იზომეტრიული სტროფის ფუნქციაზე. პოეტის მიმართვაზე შინაგანი ალიტერაციული ხასიათის რითმებისადმი, რომელიც უჩვეულო ევფონიურ ეფექტს ქმნის. აქცენტი კეთდება ტრადიციულ ოთხტაეპიან სტროფზე (კატრენი), როგორც პოეტისათვის ყველაზე ახლობელ სალექსო ფორმაზე, რომლის ფარგლებში ლირიკოსი წარმატებით მიმართავს სხვადასხვა მარცვლიან საზომებსა და ტაეპებს, რაც ნაირფეროვანი რიტმული ვარიაციების შესაძლებლობას ქმნის. გამოყოფილია პოპულარული რვამარცვლიანი სტროფისადმი გრანელის დამოკიდებულება, რომლის აზრობრივ, რიტმულ ქსოვილს იგი აგებს ქალური და დაქტილური რითმების მომხიბლავი კომბინაციებით.

ზ. ცხონდიას თანახმად, თითზე ჩამოსათვლელია საქართველოში პოეტები, რომელთაც ასეთი სინატიფითა და ბუნებრიობით ხელეწიფებოდეს ლექსში მახვილიანი და უმახვილო მარცვლებით ოპერირება თვალშისაცემია რიტმულ–ფონეტიკური ელემენტების ჰარმონიული თანაფარდობა. ასევე, მისი დაკვირვებით რიტმულ–სინტაქსური თავისებურებების და აზრობრივი. ინტონაციური ნიუანსების ნაირსახოვანი ვარიანტებით გრანელის ლექსებს ბევრი ვერ გაეჯიბრება ჩვენს პოეზიაში. იქვე ნათქვამია, რომ პოეტი წარმოსახვის გაძლიერების მიზნით ოსტატურად მიმართავს, ტრადიციულ ტროპულ ფორმებს, მეტაფორას, მეტონიმიას, შედარებას, სინეკდოქეს, ოქსიმორონს და სხვა. ყურადღებულია ოქსიმორონი „ცისფერი ღამე". აქცენტირებულია ასევე განპიროვნება, როგორც ესთეტიკური ეფექტიანობის მოხდენის ერთ–ერთი ფორმა.

წიგნი იხურება წერილებით, სადაც მსჯელობა გაშლილია ტრადიციის ნოვატორული გაცოცხლების მნიშვნელობაზე და ლექსის ხელახლა შობის მისტერიაზე.

ერთი სიტყვით, ზურაბ ცხონდიამ ჩინებული მონოგრაფია შექმნა ტერენტი გრანელის პოეზიაზე. მკითხველს ხელში დააკავა „უცნობი სფინქსის" ძშეცნობის გასაღები. პოეტის „მინანქრის სტრიქონებით" დაკომპლექტებული ნიმუშების ღრმა ცოდნით, სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით ახლებურად გვაზიარა გრანელის მსოფლმხედველობრივ პრობლემატიკას, ეთიკურ იერსახეს, პოეტიკას, ესთეტიკას, სიმბოლიზმთან მიმართების საკითხს. მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ პოეტის შემოქმედებას მოვლენია ფრიად განათლებული, ერუდიტი მკვლევარი, გამორჩეული წერის მანერით, საკითხის დამუშავებისას სიახლის წვდომის წადილით. მისი ღირსება იმაშიც მდგომარეობს, რომ მონოგრაფის დამუშავების დასრულების შემდეგ მკითხველ–სპეციალისტებს უჩნდებათ სურვილი მისი ხელახლა წაკითხვისა.

**ტიტე მოსია,**
**პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**

# იუბილარი რეზო კვარაცხელია -80




2024 წელს გამომცემლობა „ივერიონმა" გამოსცა რეზო კვარაცხელიას ორენოვანი მონოგრაფია „ბიბლიისა და მეგრული ენის ურთიერთკავშირი", რომელიც გახლავთ ვრცელტანიანი ეზოთერიული ნაწარმოების მხოლოდ მცირე ნაწილი. წინამდებარე პუბლიკაციაში შემოთავაზებულია ავტორის მეტად ორიგინალური ხედვა. წარმართულ-ქრისტიანული კოლხური კალენდრის (თვეები, დღეები) ეტიმოლოგიურ ძიებებზე.

ავტორს არ ეშინია შარის, როცა პროფესიონალ ენათმეცნიერთა მრავალგზის შემოძახებულ ტენდენციებს. ჯიუტად წაუყრუებს ანდაზის კვალობაზე... ქარავანი მიდის. იგი თავაწეული მისდევს მეგრული ტოპონომების თავისთავში ახსნადობის პრაქტიკას. შესაძლოა, მისი თამამი დასკვნები სადავოც იყოს მეცნიერული პოზიციიდან, მაგრამ იგი შლიმანის ინტუიციის მიმდევარია. მართალია, ამ გზაზე მას ჰყოლია პირველ გამკვალავნიც - ბ. სოფია, მ.ძაძამია, ე. იზორია, ნ. ლატარია და სხვების სახით, მაგრამ ავტორი ყველგან თანამიმდევრულია თავის ნააზრევში და გვიტოვებს სივრცეს ნაშრომი გამოქვეყნდეს საკითხის დასმის წესით.

25 თებერვალს ბატონ რეზოს 80 წელი უსრულდება, ვულოცავთ, ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებთ, ჩვენი გაზეთის მითხველებს ვთავაზობთ მეგრულ ლექსს - „ გამათ ნარაგადი", ხოლო მის წიგნზე „ფიქრები ბიბლიაზე" მორიგ ნომერში ვისაუბრებთ.

### *გამათ ნარაგადუ*

*კოჩის სიტყვათ არწუმენა, შარას ოწურუანა.*
*სიტყვას - სიტყვათ ეთმონწყუნა, აზრის ოწურუანა,*
*ნარაგადი თითი გეგებუ- მუსუ მუჭო თქუანა:*
*ვაგმაგინუ სკანი სიტყვათი, სკირუს მუჭო თქუანა...*
*დიოსკურია გითქუალუ, დიდა წყარი რენია,*
*რადგან თინა ზღვაპიც ჯოხო დო წყარწკუმა რენია,*
*ართგანემქი ქოვთქვიით-თენა თაში ვარენია,*
*მარა სი ვადეჯერი , ქორექ ჭიჭე წყენია...*
*შარა ვარე ვაბთქუენი, ნამდულს მუჭო რენია,*
*მარა გამათ ქოგიწოლე, არგამათ ვენწყენია,*
*შოლირი დიშკა შირშინუნსი-თენა მუშენ რენია?*
*შკირაფა დო სკირაფა შკას, დიდი სანზლო რენია?*
*სკური, სკირუ, მასკური დოსკერე ჯინჯიშე რენია,*
*მარა სოთინ ვაგაცხადა, იყიი საწყენია!*
*ფივქრენქ ჭკუაში ზუკოლი-ჯიმალობა რენია*
*მოხვარეთ ლექსის ვთქუა, უჯგუშო მეხვადენია...*
*მასკური ირქენს ლეხერას, ოსურეფი ნახუნა,*
*ართგანი მენცარემცი, ჭიფე ჭინით ლახუნა !*
*სიტყვემც ჯგირო ქიდეკვირი - აბა მუს იძახუნა?*
*პასუხი ჭარილი მაჯღონი , გაგებული მუ გაფუნა.*
*1996 წ.*

# ჩვენ გვწერენ

## მადლიერების ბარათი

ვარ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, დაავადებული ვარ ეპილეფსიით, სააკაშვილის დროს მომიხსნეს სოციალური დახმარება, ვიყავი ძალიან ცუდ მდგომარეობაში ეკონომიურად, შვილმა თავი მოიკლა მთავრობის უყურადღებობის გამო, სახლიც არ მქონდა და დავრჩი უკიდურესად მძიმე პირობებში: სწორედ ასეთ დროს მფარველი ანგელოზივით მომევლინა ის დახმარება, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გამიწია, სახლიც ამიშენეს, სოციალური დახმარებებიც აღმიდგინეს და დღეს სიცოცხლეს ვაგრძელებ.

ვარ გარემოვაჭრე და პურის ფულს ამით ვშოულობ. მინდა მადლიერება გამოვხატო ბატონ ბიძინას მისამართით, რომელიც ჩემნაირ გაჭირვებულ ადამიანებს დახმარების ხელს აშველებს, ასევე ბევრ კეთილშობილურ საქმეს უდგას სათავეში ქვეყნის მასშტაბით. ბიძინა რომ არა ჩვენს ქალაქს არ იქნებოდა ანაკლიის პორტი და გვექნებოდა გაყიდული „ლაზიკა". ასევე დიდი მადლობა მას, რომ იბრძვის ქართული იდენტობის დასაცავად, ჩვენ ისეთი ევროპა არ გვინდა, სადაც იყო „ ბესო და გახდა კესო". ასევე მადლობა ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობას, რომ ამ ქალაქში ფუნქციონირებს ერთადერთი გაზეთი „ეგრისის მაცნე" სადაც, ჩვენ მოქალაქეებს უფასოდ, ყოველგვარი ანგარების გარეშე შეგვიძლია გამოვხატოთ ჩვენი აზრი, ეს ასევე დამსახურებაა ამ გაზეთის რედაქტორის, რომელიც ყველა დაჩაგრულის მფარველი და მეგობარია. მე,მჯერა, რომ ამ გაზეთის მეშვეობით ჩემი სიტყვა თქვენამდე მოაღწევს.

კიდევ ერთხელ მადლობა თქვენ ბატონო ბიძინა გაღებული სიკეთისათვის.

**მაია გაბედავა**

**ზუგდიდი**

„დიფ სთეითი," იგივე გლობალური ომის პარტია, არის ის ბოროტება, რომელიც კაცობრიობის თავზე მძვინვარებს

# მან ქვეყანა ბეწვის ხიდზე გაატარა

ედგა მხარში ყოველთვის საქართველოს, ამას შეეწირა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ინდოეთის განმათავისუფლებელი მაჰათმა განდი, შემდეგ უკვე ინდირა განდი, ამერიკის პრეზიდენტი კენედი, რომელმაც გაამხილა ამ გლობალისტური ომის პარტიის არსი, თავის დროზე - და ბევრი პროგრესული ადამიანი.

**— „დიფ სთეითის" დამარცხება, მოგეხსენებათ, არც ისე იოლი საქმეა, რადგან ის ჯერ კიდევ საუკუნეების წინ იღებს სათავეს. თქვენ რას სთავაზობთ მკითხველს ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად?**

— „დიფ სთეითი" რომ სიკეთეს დავუქვემდებაროთ, უნდა იყოს ასპარეზი და ეს ასპარეზი შევუქმენი მე ამ წიგნით კაცობრიობას. დედამიწას აკლია ჟანგბადი. დედამიწაზე რომ კიდევ 2 გრადუსით დათბეს, მას 15-მეტრიანი წყალი დაფარავს, დედამიწაზე ახალი წარღვნა იქნება. ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ უდაბნოების ათვისების პროექტი მაქვს წარმოდგენილი.

ქართველმა აკადემიკოსმა რამაზ გახოკიძემ შექმნა ერთი კონგენიალური ბიოაქტივატორი, რასაც მე მე-8 საოცრება შევარქვი. იგი დადებითად მოქმედებს როგორც მცენარეულ, ასევე ცხოველურ ორგანიზმზე. მის მიერ წარმოქმილი პროდუქტი აბსოლუტურად ჯანსაღია, ამავდროულად, სადაც ეს პროდუქცია იქნება გამოყენებული, ნიადაგი კეთილშობილდება და დიდი რაოდენობით ჟანგბადს გამოყოფს. ამ მცენარეს ქვია ფსტა, ფისტაცია ვერა -ლათინურად. ის არის გრძელფესვებიანი მცენარე და შეუძლია 30-35 მეტრი სიღრმიდან წყლის მარაგი ამოქაჩოს. ნახევრად უდაბნოში, ყველგან, სადაც წყალი 10-15 მეტრის სიღრმეშია. ასეთი სივრცეების ნაყოფიერ ნიადაგად გარდაქმნა, ქართულ პროექტს, 'ბიორაგითა" და ფსტა-მცენარით, თავისუფლად შეუძლია. მთავარია მონდომება. ქართველები არიან პირველსაწყისები ყველაფერში, იმიტომ გახდა კოლხი წარმატებული, რომ მან გამოიგონა რკინის მიღების ქიმიური გზა. ქვიშის მაგნიტიტის 1400-1600 გრადუსზე ქურაში გამოდნობით. იმ პერიოდში რკინა ოქროზე 10-ჯერ ძვირი იყო. მე ეს წიგნი შევთავაზე ცივილიზებულ კაცობრიობას, შევთავაზე იგივე ტრამპს, იგივე მასკს, იგივე ორბანს, ანუ ჩვენი პლანეტის გონებანათელს შვილებს.

რაც შეეხება დონალდ ტრამპს, ის არის პროტოიბერიული წარმოშობის, მისი ფესვები შოტლანდიიდანაა. ტრამპს რა თქმა უნდა, დიდი პიროვნებად მივიჩნევ, მაგრამ მის გვერდით არის ასევე ილონ მასკი და დემოკრატიულად მოაზროვნე უამრავი ადამიანი. მართალია, ბოროტებას ბოლომდე ვერავინ გაანადგურებს, რადგან ბოროტება და სიკეთე და-ძმასავით არიან, მაგრამ მთავარია, რომელი იზეიმებს — ბოროტება თუ სიკეთე?! თუ ასე არ მივუდგებით საკითხს, „დიფ სთეითს" ვერ გავანადგურებთ. რაღაცნაირი ფორმით უნდა შევძლოთ მისი მოთოკვა, რომ არ უნდა ფეთქდებოდეს ატომური ბომბი, არსად არ უნდა გამოიცდებოდეს იგი, იმიტომ, რომ ის ცივილიზაციის გამანადგურებელია. ამას ემსახურება ჩემი წიგნი.

მე მაქვს ამის ხელდახსმა, ვთქვა, რომ დედამიწის გადარჩენა დამოკიდებულია ომების ალაგმვაზე. ვის ხელეწიფება ეს? — სამარცხვინოდ რომ მ იაჩნიათ პოლიტიკაში ოლიგარქის მოსვლა, მე ამას ცოტა სხვანაირი თვალით ვუყურებ. თუ ოლიგარქთა ხელისუფლება არ მოვიდა ბევრ ქვეყანაში და თუ არ მართა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ოლი გარქიულმა ძალამ, მაშინ ჩვენ „დიფ სთეითის" დამარცხებას ვერ შევძლებთ. „დიფ სთეითის" მესვეურებიც იგივე ოლიგარქები არიან, რომლებსაც შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ მათი ტოლფასი ადეკვატური ძალა. ისინი შეეცდებიან ამ ბოროტი ძალის გაუვნებელყოფას, მშვიდობიან რელსებზე გადაყვანას და მისთვის ომის „მადის" წართმევას. სხვანაირად ჩვენ ამას ვერ შევძლებთ!

ოლიგარქიის საკითხს ყველაზე კარგად მარქსი ხსნის. ის ამბობს, რომ მატერიალური დოვლათის დაგროვება თანდათანობით იწვევს თვითონ იმ ოლიგარქში ზნეობრივ ამაღლებას. ოლიგარქს არ დასჭირდება 50 პურის ყიდვა, როცა 1 პურიც ჰყოფნის. ის 49 პურს არ შეინახავს, ადგება და ხალხს მისცემს. უნდა შეიქმნას კაცობრიული ოლიგარქიული მმართველობა, რადგან „დიფ სთეითს" უზარმაზარი რესურსი აქვს და მას ვერ მოერევიან ჩვეულებრივი პრეზიდენტები. მხოლოდ ოლიგარქიული მმართველობის შემთხვევაში წავა კონსოლიდაცია და შეთანხმებული მსვლელობა დედამიწის გადასარჩენად.

**— წიგნში ახალგაზრდობის და განათლების თემასაც ეხებით. როგორია თქვენი ხედვა ამ მიმართულებით?**

— ახალგაზრდულ მღელვარებებთან დაკავშირებით საბედნიეროდ ჩვენ მოგვეპოვება ეჭვმიუტანელი ბიბლიური გამოცდილება: მშობლების წინააღმდეგ ამხედრებული შვილი — ძე შეცდომილი და დედ-მამის ნებიერი მემკვიდრე— ჯიშ-ჯილაგის გამგრძელებელი. პირველი ვერ ღებულობს მშობლების კურთხევას, ხოლო მეორე დაილოცება მამისგან და ჩაბარდება კერის, ოჯახის, ფუძის ანგელოზის გაძღოლა. ანუ ასეთი პირმშოები იყვნენ, არიან და იქნებიან ჯიშ-ჯილაგის გამგრძელებლები. ჩვენ იმედის თვალით ვუყურებთ ჩვენს ახალგაზრდა თაობას და გვინდა მივანიჭოთ მათ ეს ხელდასხმა, მაგრამ მათი მიდრეკილებები თუ აცდენილია ათასწლეულობით გამომუშავებულ ტრადიციულ ფასეულობებს, მამა ვერ გასცემს მათზე ამ კურთხევას, იგი იქნება გვარის წინაშე ძე შეცდომილი, როგორც უფლისწული აბესალომი. ჩვენ რუსთაველზე მოფენილ ახალგაზრდობას თანავუგრძნობთ, როგორც მომავალს ჩვენსას, მაგრამ კურთხევას მიიღებენ, როცა უკლებლივ შეიმოსებიან პატროფილური მსოფლგანცდით. თამაზ კვაჭანტირაძის მინისტრობის დროს მათმა რაოდენობამ ვგონებ ასს გადააჭარბა მთელ საქართველოში. ეს უნივერსიტეტები მაშინ სოკოებივით აღმოცენდნენ ფულის საშოვნელად და მათი მინიმუმამდე შემცირება მოხერხდა სახელმწიფოებრივი ბერკეტებით. დღევანდელი უნივერსიტეტების მეტი წილი კი საერთოდ აცდენილია საქართველოს სახემწიფოებრივ მაგისტრალს. აქ ანტიქართული, სამშობლოსმოძულეობის ქარტეხილი ტრიალებს განუკითხავად. ყველა ეს სასწავლებელი წინასწარ გათვლილი გეგმით თბილისშია თავმოყრილი, რათა ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლებისას არ გაძნელდეს 30, 40, 50 ათასი ახალგაზრდის ელვისებური თავმოყრა. ჩვენ ვერ ვიტყვით ჩვენს ახალგაზრდა თაობაზე, მიუშვით ნებასა-თქო; ჩვენ შევახსენებთ ფრაზას ფოლკლორიდან, თუ რა ემართება დედის წინ მორბენალ კვიცს. და მაინც თავს ვალდებულად მივიჩნევთ მივუტევოთ მათ 78-ჯერ, ხელი გავიწოდოთ კვლავაც 78-ჯერ, როგორც ამას უფალი იესო ქრისტე გვასწავლის.

ყველაფრის თავი და თავი კი უეჭველად „დიფ სთეითის" დამქაში ქართველობა მგონია, დაახლოებით 35 ათასი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც კვლავაც თბილისშია თავმოყრილი უმეტესწილად და მადიანად ხრავენ საქართველოს დასაქცევი ქმედებებისთვის გადახდილ 10 000, 5 000 თუ 1000 დოლარს. პირველ რიგში ეს უნდა აილაგმოს. პირველ რიგში ამათ უნდა ამოედოთ ალვირი, როგორც ეს მოხდა რისეთში, აზერბაიჯანში, როგორც ხდება აშშ-სა თუ ყველა თავმოყვარე ქვეყანაში. სხვანაირად ნებისმიერი მცდელობა ქვეყნის წელში გასამართად სუფთა წყლის ნაყვა გამოგვადგება.

**— ბატონო გური, თქვენი შემოქმედება უკვე შეაფასა ხელოვნურმა ინტელექტმა, რაზეც თქვენივე წიგნში საუბრობთ. მომავალშიც გააგრძელებთ მასთან თანამშრომლობას?**

— შემფასებელთა შორის ყველაზე მაღალ კრიტერიუმად მე დღეს სოსო სიგუას მივიჩნევ, რომელიც არის კულტუროლოგიის დიდი სპეციალისტი და დამსახურებულად აირჩიეს კიდევაც აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, მისი გადაწყვეტა უფრო რთულია, თუმცა, ხელოვნური ინტელექტი ამისთვისაც მზად არის. როგორც მისგან გავიგე, ხელოვნების სხვა წარმომადგენლებსაც ჰქონიათ ხელოვნურ ინტელექტთან კონტაქტი, მაგრამ ისე, რომ თავად წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი ყოფილიყოს, აქამდე ამის პრეცენდენტი არ ყოფილა.

ხელოვნურმა ინტელექტმა მითხრა, რომ ამ შემთხვევაში, მე ვარ ნოვატორი, „ყამირის გამკვალავი" და ჩვენ შემდგომ თანამშრომლობაზეც შევთანხმდით. ჩვენ დავთქვით, რომ მალე რომანზე მუშაობასაც დავიწყებთ და შესაძლოა, სწორედ ეს წიგნი გახდეს ჩემი მომავალი რომანის ქარგა. მისი მთავარი გმირები შეიძლება იყვნენ: ბიძინა ივანიშვილი, დონალდ ტრამპი, ილონ მასკი, ვიკტორ ორბანი და სხვა მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკოსები, როგორიც იყო მაგალითად, ჯონ კენედი, ინდირა განდი. ეს იქნება გლობალური ომის წინააღმდეგ მიმართული ფართო მასშტაბიანი ოდისეა, კაცობრიობის მსვლელობა და მე ამ რომანს ხელოვნურ ინტელექტთან ერთად დავწერ.

**ესაუბრა**
**ნონა ქარქაშაძე.**

პირადი არქივიდან

# კონსტანტინეს ბოლო სტუმრობა ზუგდიდში



85 წლის კონსტანტინე გამსახურდია ს ზუგდიდში-ჭითაწყარში ბენზოგასამ ართ სადგურთან მანქანა გაუფუჭდა - მიყვება გიგლა ლაგვილავა რედაქციაში, (ხეთასთან გზაზე გვანჯისთან ერთად წამოეწია.) მთხოვა დახმარება, მაში ნათვე მოვიტანეთ „დანკრატი” , საბურავი იყო დაშვებული და მანქანაც გაუმართეს, მე რაღაც მომენტში ამათ დავშორდი, ესენი უცებ წასულან. მე ვიფიქრე, ეხლა გვანჯის მოვიყვან და შევახვედრებ კონსტანტინეს გაუხარდება მეთქი, და სასწრაფოდ გვანჯის მივაკითხე, გაუხარდა და თქვა, აწი წასულან და სად შევხვდეთო, მე ვუთხარი: იჩქარე, წამოვეწიოთ მეთქი და გავეკიდეთ მანქანით,ხეთასთან წამოვეწიეთ, კონსტანტინემ მანქანა გააჩერა, საბარგული გაალებინა და იქიდან „დანკრატის’ გამოტანა დაიწყეს, თან ბოდიშს მიხდიდა, ვერავინ ვნახეთ იქ, ეს რომ დაგვეტოვებინაო-

-არა,ბატონო კონსტანტინე, ჩვენ ამიტომ კი არ გამოგეკიდეთო- ვუთხარი და ამასობაში მანქანიდან გვანჯი აფაქიძეც გადმოვიდა და გახარებულებმა ერთმანეთი გადაკოცნეს,შემდეგ იქვე პურ-მარილზე მივიპატიჟე ყველანი და დიდხანს მრავალი სასიამოვნო ამბები გაიხსენეს - ჩემი გვანჯი აფაქიაო ეფერებოდა კონსტანტინე გვანჯის.- თან რაღაც ძვირადღირებული პატარა, ლამაზი ჯიბის დანა მქონდა, ეს რაღაცნაირად შენიშნა კონსტანტინემ და მოეწონა, ლამაზიაო... მეც გავბედე და ვუსაჩუქრე, ძალიან გაუხარდა და დიდი სიყვარულითა და პატივისცემოთ გავისტუმრეთ მწერალთა მეფე თბილისს.

... მიჰქროდა მისი მანქანა და თვალს არ ვაშორებდი, ეხლა ისევ თავიდან მახსენდებოდა ყველაფერი, როცა მანქანასთან ტრიალებდა და მითხრა : თუ ძმა ხარ მანქანა გამიფუჭდა, მე კონსტანტინე ვარ გამსახურდია და იქნებ რამე დამეხმაროო...

... კონსტანტინეს ვინ არ იცნობდა, მაგრამ, მოულოდნელობისაგან დავიბენი, თან დასძინა მხცოვანმა ბრძენკაცმა, ვინ იცის, იქნებ ეს ჩემი ბოლო სტუმრობააო ზუგდიდში. და ეს ასეც გამოდგა. მის შემდეგ კონსტანტინე ზუგდიდს არ სტუმრებია, ის დღე კი ყველაზე ლამაზ მოგონებად დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

**ნათია ჯგუშია**

08.08.2001 წ.

კვალი ნათელი

# ეკა კვარაცხელია



ამ სამყაროს წუთისოფელი იმიტომ შეარქვეს, რომ სიკვდილ-სიცოცხლე ერთმანეთს ცვლის და ეს გარდაუვალია, დროებითია ყოველი ჩვენთაგანის მოვლი ნება ამ დედამიწაზე, მაგრამ თუკი მოვლინებას სიხარული მოაქვს, გარდა ცვალება მას მწუხარებით ცვლის და მით უფრო თუკი ეს ნაადრევია.

სწორედ ასეთი მოულოდნელი ელდა და მწუხარება იყო მთელი რაიონისთვის ახალგაზრდა იურისტის, ნიჭიერებით და პროფესიონალიზმით გამორჩეული საჯარო მოხელის, ჩხოროწყუს მუნიცი პალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის ეკა კვარაცხელიას გარდაცვალება.

ეკა კვარაცხელია დაიბადა 1973 წლის 13 თებერვალს დაბა ჩხოროწყუში, დაამთვრა № 1 საჯარო სკოლა ოქროს მედალზე; 1992 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით 1997 წელს, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1999- 2004 წლამდე მუშაობდა ჩხოროწყუს რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლად;

2004-2010წ.წ. მუშაობდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული საკითხების მთავარ სპეციალისტად;

2010-2024 წწ.მუშაობდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსად.

ეკა კვარაცხელია მუშაობის წლებში გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით და საქმისადმი ერთგულებით; იყო შრომისმოყვარე, პრინციპული,პასუხისმგებლობის მქონე საჯარო მოხელე.

ეკას გარდაცვალება მტკივნეული იყო მისი თანამშრომლებისთვის, მას დღესაც დიდი სიყვარულითა და გულისტკივილით იხსენებენ.

მის ხსოვნას სათუთად ინახავენ მისი ახლობელ-მეგობრები.

მშვიდად განისვენოს მისმა სულმა სადაც მართალნი განისვენებენ.

იგი დააკლდა ყველას: რაიონს, სამეგობროს, ოჯახს, როგორც ნიჭიერებით, საქმისადმი ერთგულებით გამორჩეული, მოსიყვარულე პიროვნება.

მას ჯერ კიდევ ბევრი სურვილი და ოცნება დარჩა აუხდენელი.

ეკა კვარაცხელიას ხსოვნა მარადიულად იცოცხლებს ახლობელ-მეგობრების გულში,

მის ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია**



# დ ე დ ო ფ ა ლ ი (ლიკა ქავჟარაძე და...)

დედოფალი, დე- უფალი იყო ლიკა ქავჟარაძე. სილამაზისა და სიყვარულის ტახტრევანზე ამაყად და ყელმოღე რებით დაბრძანებული. ერთხელ იხილავდი და არ შეიძლებოდა არ შეგყვარებოდა, მიუხედავად ასაკისა, ამისა თუ იმისა... ამ სტრიქონებს მონატრება მაწერინებს და კიდევ ბაშვობის მოგონებათა სევდაგარეული სიტკბოების განცდა. მერე ლიკა ისეთი ნათელი და რაღაცნაირად სავსე იყო, არ შეიძლებოდა მასზე არ გეფიქრა, არ გეოცნება, ძველი ანდაზაა: გაღიმებულ სახეს ისარს არ ესვრიანო! - იმ დალოცვილს კიდევ საავსიტყვოდ და საავგულოდ ვინ ოხერი გაიმეტებდა, ანათებდა გარემოს და ქმნიდა სამყაროსთვის გასახარ სამშვენისს. ცასავით კრიალებდა და მაგნიტივით გიზიდავდა, როგორც სიყვარულის ტაძარს გინდა მიეახლო და ერთი სანთელი მაინც ააბრიალო ამ ულვთიურესი გრძნობის წინაშე, ლიკაც ეგრე იყო, გინდოდა ერთხელ მაინც ამბორგეყო და ხარკი მოგეხადა მზეწვია გრძნობისთვის, ლექსებს რომ გაწერინებს, ცაში რომ აყავხარ და უსასრულობას უახლოესად გისახავს მარადისად...

ახლა იმ ასაკში ვარ, რომ იტყვიან: ბავშვური გულუბრყვილობა ვაჟკაცურ პატიოსნებად რომ ექცევათ ხოლმე და უფრო მძაფრად აღვიქვამ იმ გასაოცარ მიმზერებას, სილამაზითა და მშვენიერებით აცამაღლებული არსების მიმართ. მე სინამდვილეზე მეტად წარმოსახვების ტყვე ვყოფილვარ და სინამდვილეზე მეტად იმ ოცნებებისა თუ ნატვრათა განცდებს ვაფასებ, ჩემს შემოქმედებით ბუნებასა და შნოს ლამაზფერებში რომ მიმზეკაბანებს. გალაკტიონისა არ იყოს:

„ სინამდვილეს არ ვემდური,
არ ყოფილა თითქმის,
არყოფილზე საყვედური
არასოდეს ითქმის!..”

ეგრე რომ არ იყოს ვუსაყვედურებდი ოცნებათა ქარაშოტულ სამშვენისებს - რატომ და რისთვის ეგეთი სიშორე, მეთქი და მზესაც წავეკიდებოდი, ჩემს თავში ჩავიკეტებოდი და მთვარეს გავუხელდი მხოლოდღა თვალებს. თავს ძალას დავატანდი, რომ საკუთარ აზრებს გავქცეოდი. გრძნობათა გვირგვინები გულში საიმედოდ დამეფარა და გრაფიკულ სიღრმედ მექცია ფერწერული წარმოსახვანი!.. ტრიალებ გულო, ფრიალებ გულო, ხვართქალებ გულო და კალმახივით დინებას ეწინააღმდეგები,რათა ნაფიქრნი შენნი ქვირითივით სადმე გასლიპინებულ და გამოყინულ გვებს მიაფრქვიო. მაინც არ ესმით, არ იგონებენ შენსას- გულში თბილსისხლჩაუბრუნები ვინმეები...

ფრანც კაფკას გავიხსენებ: „ერთხელ დილით, როცა გრეგორ ზამზამ შფოთიანი სიზმრების შემდეგ გამოიღვიძა, აღმოაჩინა, რომ თავის საწოლში საშინელ მწერად ქცეულიყო.” ხომ შეიძლება ერთ დილით ამდენი თვალმოუხუჭავი და ფიქრგანცდიანი ღამეების შემდგომ გამოიღვიძო და შენს კედელზე დაკიდებული ლიკა ქავჟარაძის სურათი განამდვილდეს, გაცოხლდეს, სული ჩაიდგას და გადმოვიდეს თეთრი კედლიდან? ეჰე- ჰეეე... მარიტა გაცოცხლეს, მისი ღიმილი თვალწინ გაგინამდვილდეს და ბროლ-მკერდ, გედის ყელიანი საოცრება გაკვირვებით მოგაჩერდეს და მისეულად ღიმილმორევით გითხრას: რაო, რომ არ მეშვებოდი, აგერა ვარ, რა ფერი შეგფაკვლიაო?.. ვაი, შენს თავს, მახა, არც გედია ხარ და არცა შეთე, არც მარადიას ნათლულის შორეული ნათესავი, მიკიბ-მოკიბვით რომ რამე დაუმარცვლო! ა, ბურთი და ა, მოედანი... ვერაფერი, გაშეშდები, სიტყვა მტერივით გაგინაპირდება და რომ გეგონა ქვეყანას დააქცევდი, ამას და იმას იზამდი, ამას და იმას ეტყოდი, პირგამშრალი და თვალებდაჭყეტილი მიაშტერდები შენი ოცნების მახარიას, ის კიდევ საბოლოოდ გაიღიმებს და მოცდით გაბეზრებული, ისევ დაუბრუნდება ფერწერული ტილოს მარადიულ ციხეს- ვერცხლისფერ ჩარჩოს!.. განა ყოველთვის ეძლევა მსგავსი შანსი და ბედნიერი წუთები ადამიანს? მორჩა და გათავდა, დარჩი ისევ შენს აუხდენელ და ძირუსაგნო ოცნებებთან მიტოვებული და გასაცოდავებული- ვით მეფე ლირი...

არ გამაგონო ლიკა მიყვარსო, ლიკაზე ვგიჟდებიო...

დალოცვილო, მე მწვერვალზე ვსაუბროდი, აუღწეველ და მიუღწეველ საოცრებაზე... შეიძლება უშბა და ჯომოლუნგმა ვერ აიმწვერვალო, ვერ დალაშქრო, მაგრამ მის ულამაზესობაზე ფიქრსა და ოცნებას სიცოცხლე ანაცვალო!.. სიყვარული უფრო დიდი და მრავლის დამტევია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და მსუბუქ განცდიანებს წარმოუდგენიათ!..

მე კიდევ ვუფრთხილდები ამ ულვთიურეს გრძნობას, ერთადერთ სანუკვარ სიმდიდრეს - ასე საჭიროსა და აუცილებელს ჭეშმარიტი პოეზიისათვის!.. არ ვიცი რატომ, მაგრამ მძაფრი შეგრძნებით გადმომყვა გვიანი შემოდგომიდან დამწვარი ფოთლების სუნი. თითქოს იმ ფოთლებში ჩაიფერფლა გამოპარული ფერი გაზაფხულისა- იისფერი, ლურჯი, მკვეთრი ცისფერი... ჩემი მარიტას ფერი და საზამთროდ თვალმინავლული ზამთრის ნაფაზის ბოლით დაუბრუნდა საწყისს მარადისობისას, სამყოფლოს უფლის!..

დრომ იცის თავის ფასი, წამსაც არ გპატიობს, მიდის და მიედინება... მეც მივდივარ რუსთაველივით: „წავგრძელდი და წავე წინა...” მივდივარ, მაგრამ ვარ ისევ მარტო ოლოლივით ჩემს სიყვარულთან და არაამქვეყნიურ წარმოსახვებთან ერთად!..

———————————————

**ლაშა გვასალია**

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „ეგრისის მაცნეს„ კომპიუტერულ ცენტრში

გაზეთში დაბეჭდილი მასალების ავტორები თავად არიან პასუხისმგებელნი თავიანთი პოზიციისა და მათ მიერ მოყვანილი ფაქტების სიზუსტისათვის. რედაქცია მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას 45,
მობ: 577429349; 568969194.
ელექტრონული ფოსტა: egrisismacne @ mail.ru

მთავარი რედაქტორი
ნათია ჯგუშია